



ყოველ-კვირეული საკოლიტიკო და სალიბერალური გაზეთი

კვირა, 25 ნოემბერი. 1907 წელიწადი პირველი.

ჭუთანისი, 25 ნოემბერი.

დღეს ისეთი ხალხია ყველგან გამეფებული, ისე არეულ-ღარეულია ხალხის მდგომარეობა, რომ იშვიათათ შეხედებით ვისმეს, დაწყევლილ კითხვას არ იძლეოდეს: რა პირობებში რცხვრობთ და სად არის საშველი გზაო?

13 ნოემბერს, მეფისთვის წარსადგენ საპასუხო ადრესის შედგენის დროს, მესამე დუმის დებუტატები იძულებული გახდნენ გამოეთქვათ, თუ რა მიზანი აქვთ დასახული და რა საშუალებით უნდათ იმის განხორციელება. ბევრი ილაპარაკეს იმის შესახებ, თუ რა არის საელმწიფოს დღევანდელი წესწყობილება: კონსტიტუცია თუ თვითმპყრობელობაო. მაგრამ ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს უმეტესობის მიხვეწულ-მოხვეწულ მსჯელობას, საიდანაც გამოდიოდა, თითქო რუსეთს რაღაც უცნაური წყობილება უნდა ქონდეს: თვითმპყრობელობაც და კონსტიტუციაც—ერთს და იმავე დროს. ადრესში კონსტიტუციის ხსენებით ან ისე თქმით, კონსტიტუცია გვაქვსო, სრულიად არაფერი შეიცვლებოდა ცხოვრებაში, სადაც ყველაფერი რეალურ ძალთა განწყობილებაზეა დამოკიდებულ და არა ამა თუ იმ ტერმინის ან სიტყვის ხმარებაზე. ჩვენთვის საინტერესოა მხოლოდ ის ფაქტი, რომ დუმის უმეტესობამ ერთი სიტყვასაყვედური არ უთხრა მთავრობას ხალხის იმუღვთო განიავებისთვის, რის მოწმე ჩვენ ვართ ამ ორი წლ. განმავლობაში. პირიქით, ტაშიც დაუკრეს, მომავალშიაც აგრე ქენიო. დუმის უმრავლესობისთვის, რომელსაც მსხვილი მემამულეები და კავიტალისტები შეადგენენ, პირდაპირ სასარგებლოა იმ ხალხის ტანჯვა-წამება, რომელსაც სწორეთ იმათ უღლიდან უნდათ განთავისუფლება და ადამიანური ცხოვრების მოპოება.

16 ნოემბერს მთავრობის წარმომადგენელმა, მინისტრ-პრეზიდენტმა, წაიკითხა დუმაში დეკლარაცია, სადაც მთავრობა აცხადებს, რას უქადის მომავალში ქვეყანას. ამ დეკლარაციაშიც უმთავრესად მუქარაა გატარებული, ხალხო, თუ არ დაწყნარდი, რაც დღემდის იგემე, კიდევ უარეს გიზამო.

22 ნოემბერს, სენატის საგანგებო კრი-

სუტსტვიეში“ დაიწყო „გასამართლება“ მეორე დუმის მთელი სოც.-დემ. ფრაქციისა. ეს ექვსი თვეა ორმოცამდე დებუტატი ციხეში ყავთ დამწყვდეული და ახლა „გასამართლებას“ შეუდგენ. უეჭველია სასტიკ სასჯელსაც გადაუწყვეტენ. და მერე რისთვის? ჯერ შეთხზეს, მეფის წინააღმდეგ შეთქმულობას ამხადებდნენო, მერე კი ის დააბრალებს, ვითომ სახელმწიფოს წეს-წყობილების ერთბაშით გადატრიალებას აპირებდნენ. ნამდვილათ კი, იმათ სჯიან მხოლოდ იმისთვის, რომ ხალხის რჩეულნი ცდილობდნენ ხალხთან კავშირი დაეკავებიათ, ხალხში შეგნება შეეტანათ, თვალის ახილათ, სად მტერია, სად მოყვარე, სად გამოსასვლელი გზა.

გერმანიაში, სადაც ისეთი შეკვეცილი კონსტიტუციაა, რომ ნაწევრათ თვითმპყრობელობას უდრის, სოც.-დემ. პარტია და იმის დებუტატები აშკარათ საჯაროთ აღიარებენ დემოკრატიულ რესპუბლიკას, მუდმივი ჯარის მოსპობას, ხალხის შეკავშირებას ახლანდელი წეს-წყობილების დასაქცევათ, მაგრამ გერმანიის მთავრობა იმათ არ დევნის, ციხეებში არ ალბობს, ცივ ქვეყნებში არ გზავნის.

12 დეკემბერს დანიშნულია ვაშარჩევანთ პეტერბურგის სასამართლო პალატაში პირველი დუმის 180 დებუტატის საქმე. იმათაც „გასამართლებენ“. რისთვის? მხოლოდ იმისთვის, რომ ხალხის წარმომადგენლებმა ხალხს აუწყეს, რათ გარეკა მთავრობამ მათი წარმომადგენლები და როგორ უნდა დაიცვას ხალხმა თავისი უფლება.

ყველა ეს ფაქტები და მრავალი სხვა—ციხეები, ცივი ქვეყნები, ეკზიკუციები, ხალხის წვალება, ადამიანური ღირსების გათვლევა, ქონების განადგურება—საკმაოდ გადაჭრილ პასუხს იძლევიან იმაზე, თუ რას განვიცდიოთ. რა პოლიტიკური სახელიც არ უნდა დაარქვან დუმაში დღევანდელი წეს-წყობილებას, ჩვენთვის მხოლოდ ისაა ცხადი, რომ ეს არის წყობილება ხიშტების, ძალმომრეობის, ხალხის დიდ უმრავლესობას პატარა უმცირესობა ერევა, იმიტომ რომ ამ უმცირესობას ორგანიზაცია აქვს: ხაზინა, ხიშტები, დაწესებულებები..

ასევე ორგანიზაციულათ შეკვრა—აი სად არის ხალხის შველა..



სახელმწიფო დუმა.

—

წარსულ კვირას სახელ. დუმას სულ ოთხი სხდომა ქონდა. 15, 16 და 17 ნოემბერს კიდევ სხვადასხვა კომისიების დაარსების შესახებ ქონდათ სჯაბაასი. კამათი გამოიწვია აგრარული კომისიის და მუშათა საკითხის შესახებ კომისიის დაარსებამ. სოც.-დემ. დეპუტატებმა გეგექკორმა და გაიდაროვმა ის აზრი გამოთქვეს, რომ საჭიროა ავირჩიოთ კომისია მიწა-წყლის მოწყობის საკითხისათვის, მაგრამ ახლავე უნდა გავითვალისწინოთ, თუ რა გზით შეიძლება ეს საკითხი ხალხის სასარგებლოთ გადაწყდეს; ეს გზა მემამულეებისთვის მიწის ჩამორთმევა და ხალხისთვის უსასყიდლოთ გადაცემა. მემარჯვენე დეპუტატები და მათი თავმჯდომარე ხომიაკოვი ყოველ სიტყვას აწყვეტინებდნ ს. დ. დეპუტატებს და შეძლება არ მისცეს თავისი აზრი ვრცლათ დაესაბუთებიათ.

მუშათა საკითხის კომისიის შესახებ სოც.-დემოკრატებმა მოითხოვეს, რომ მათთვის, როგორც მუშათა ინტერესების წარმომადგენელთათვის, ამ კომისიაში ერთი ადგილის მაგივრათ ოთხი ადგილი დაეთმოთ და ამის მიხედვით კომისიის წევრების რიცხვი 33-დან 37-დე აეყვანათ. მემარჯვენეებმა და ოკტომბრისტებმა, რა თქმა უნდა, უარყვეს ეს მოთხოვნა. მუშებს ჩვენ, „ზუბრებიც“, კარგ მზრუნველობას გაუწევთო: მგელი ცხვარს პატრონობს...

ღიდათ საინტერესო იყო 16 ნოემბრის სხდომა. ამ დღეს მინისტრ-პრემიერმა სტოლიპინმა სახელ. დუმაში წაიკითხა მთავრობის დეკლარაცია, მთავრობის მრწამსი. ამ დეკლარაციაში მთავრობამ განაცხადა, რომ ის წინანდელ გზას ადგია, ქვეყნის დასამშვიდებელ საშვალებას ფიზიკურ ძალაში ეძებს, რომ უკიდურეს მემარცხენე პარტიებისაგან გამოწვეული მოძრაობა აშკარა ცარცვა-გლეჯათ გადაიქცა, რომ ამ მოძრაობამ დაღუპა პატიოსანი მუშაკნი და გარყვნა ახალგაზდობაო. რევოლიუციონერების წინააღმდეგ ბრძოლაში რაიმე მორბილება ნამდვილ დანაშაულობათ უნდა ჩაითვალოსო. ამ საშვალებით ქვეყნის დამშვიდების შემდეგ როგორც დეკლარაციიდან ჩანს, მთავრობას შეაქვს სახელ. დუმაში მტანჯუაქნა დამატებით ის კანონ-პროექტები, რომლებს განხილვა ორმა პირველმა დუმამ ვერ მოასწროო, — განაცხადა პრემიერმა.

თუ რას შეიცავს ეს „მცირედენი დამატებები“, ამას თვით კანონ-პროექტები დაგვანახებენ. ახლა მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ის მთავრობა, რომელიც პურის მაგივრად ქვას აწვდის

ხალხს, თევზის მაგივრად — გველს, ხალხს ელემენტარულ თავისუფლებასაც ვერ მიცემს

ეს თვით მთავრობამ აღიარა თავის დეკლარაციაში. „ქუდს რომ ყური უგდო, დღეში ასჯერ გატყდებოა“. „ბუნტის“ ჩასაქრობათ გლეხებს მიწებს მუქათათ ვერ დაურიგებთო, მთავრობა ეცდება განამტკიცოს წვრილი კერძო საკუთრება და ამ საგნის შესახებ კანონ-პროექტებს წარმოვადგენთ, მაგრამ ამ პროექტებს „სამეურნეო რჩევასთან“ ერთათ შევიმუშავებთო.

მრავალ მილიონ გლეხობას მიწა არ მოეზოვება, მთავრობა ზრუნავს იმათ საკუთრებაზე, მაგრამ თან „სამეურნეო რჩევას“ ეკითხება, სადაც მხოლოდ მსხვილი მემამულეებია, თქვენ როგორ გნებავთო. ვითომ ზრუნავს...

არც მუშებია დავიწყებული დეკლარაციაში: მათზედაც დიდ მნიშვნელობას გამოვიჩინეთო, ბძანა პრემიერ მინისტრმა: უბედურ შემთხვევათაგან დაზღვევას შემოვიღებთ და საექიმო დახმარებას აღმოვიჩინეთო. ვითომდა სხვა მხრივ უზრუნველყოფილი არიან მუშები...

დასასრულ სტოლიპინმა მოაგონა დუმას, რომ მის მოვალეობას შეადგენს ბიუჯეტის დამტკიცება. სამაგიეროდ დაპირდა, მთავრობა ეცდება დაამყაროს ყველა ის წესები, რომლებს დუმა და საბჭო მოიწონებს და ხელმწიფე დაამტკიცებსო. ხელმწიფის ძალა-უფლება და ძალა შეუზღუდავად, თავასუფადა ნება-სურვილი ყოფილა და იქნება რუსეთის კეთილდღეობის თავდებო.

კონსტიტუცია, ხალხის წარმომადგენლნი, სახელმწიფო დუმა — საკანონმდებლო ორგანო და იმავე დროს ხელმწიფის შეუზღუდველი, თავისუფალი ნება-სურვილი — ერთი მეორესთან მოუთავსებელი ცნებაა. მხოლოდ ახლანდელ რუსეთის მთავრობას სურს შეარიგოს შეურიგებელი, მაგრამ ამათ: ან კი ან არა.

უკიდურესი მემარჯვენეები ქება-ხობით მიეგებენ მთავრობის ასეთ დეკლარაციას, ოკტომბრისტებმა მხოლოდ მოისმინეს, ოპოზიციამ, განსაკუთრებით ს.-დემოკრატებმა, კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს ის. ს.-დემოკრატებმა მთავრობის დეკლარაციას თავიანთი დეკლარაციით უპასუხეს და აღნიშნეს, რომ რუსეთი განახლების გზაზე დგას, ფართე რეფორმებს თხოულობს, მთავრობა-კი წინ ელობება ამ ხალხის სტიქიურ მოძრაობას, რისთვისაც მ ივნისის კანონი გამოიგონა და კონტრ-რევოლიუციონური დუმა შეკრიბაო. რუსეთი ისეთ წარმომადგენლობას თხოულობს, რომელიც არჩეული იქნება საყოველთაო თანასწორი, პირდაპირი და ფა-



რული ხმის მიცემით. დღეს კი ჩვენ, ს.-დემოკრა-
ტები, ვეცდებით, რომ აქედან ჩვენი ხმა მთელმა
რუსეთმა გაიგონოს, ვეცდებით გამოვგლიჯოთ ღუ-
მის უმრავლესობას ყველა ის, რაც სარგებლობას
მოუტანს რევოლუციას და კერძოთ მებრძოლ პრო-
ლეტარიატს.

სტალიზინმა უპასუხა ოპოზიციას და არსები-
თად ისევ ის გაიმეორა, რაც დეკლარაციაში წაი-
კითხა. იგივე მთავრობის თვითნებობის აუცილებლო-
ბა, მეფის უფლების შეუზღუდველობა, გლეხების
„სახელმწიფო ფონდით და სანადელო მიწებით“
გაბედნიერება, პოლწის ავტონომიის შეუძლებლობა
და ბოლოს რევოლუციონური პარტიების უდიე-
რათ მოხსენება.

მთავრობის დეკლარაციის შესახებ ოპოზიცი-
დან ილაპარაკეს (17 ნოემბერს) მილიუკოვმა და
როდიჩევმა. მილიუკოვმა აღნიშნა, რომ მთავრო-
ბის პროგრამათ კვლავ რეპრესიები რჩება, რომ
ღუმის უმეტესობა თავიანთ კლასობრივი ინტერე-
სების დამცველნი არიან და კონსტიტუციის მტერ-
ნი.

პურიშკევიჩმა ამაზედ უპასუხა, რომ მთავრობა
ძლიერ კარგათ იქცევაო და გლეხების სახელით
მწუხარება გამოთქვა იმის შესახებ, რომ მთავრობა
დეკლარაციაში პრესასთან ბრძოლაზე არაფერს ამ-
ბობს, რომლის წინააღმდეგ უსასტიკესი ზომები უნ-
და იქნეს მიღებული.

როდიჩევის სატყვამ დიდი ალიაქოთი გამოი-
წვია. როდიჩევი ამტკიცებდა, რომ რუსეთში თავისუ-
ფალი მოქალაქე არ არსებობს, არც მოქალაქის უფ-
ლება კანონის ფარგლებში; არსებობს მხოლოდ
მთავრობა, რომელიც თავის თავს ყოველ უფლე-
ბაზე მალა აყენებს და რევოლუციასთან ბრძო-
ლაში მას მამართავს, რასაც პურიშკევიჩმა მურა-
ვიოვის საყელო (სახრჩობელა) უწოდა და რასაც
შთამომავლობა შეიძლება სტალიზინის გალსტუხს
დაარქმევსო. ამ სიტყვებზე ასტყდა საშინელი
აურ-ზაური, ყვირილი „გაეთრიე-გაეთრიეო“; მემარ-
ჯვეები წამოხტნენ ადგილებიდან და ტრიბუნას
შიაშურეს, სადაც როდიჩევი იდგა. მემარცხენეებიც
წამოიჭრნენ თავიანთ ადგილებიდან და ორატორის
ტრიბუნას შემოესიენ. თავმჯდომარემ კრება დახუ-
რა. სტალიზინი შეურაცყოფილი დარჩა როდიჩევის
სიტყვებით და ბოდიშის ძიხდა მოითხოვა. როდი-
ჩევიც მოიხდა. მიუხედავად ამისა, როცა კრება
გაიხსნა, თავმჯდომარე ხომიაკოვმა წინადადება
მისცა ღუმის, როდიჩევი უნდა დაესაჯოთ, ღუმის
15 კრებიდან გამოარიცხვითო. ღუმის უმეტესობამ
წინააღმდეგ 96 ხმისა ხომიაკოვის წინადადება მი-

ილა და როდიჩევი, სიმართლის ბქმისთვის გააძვეა-
სტალიზინს კი ტაშით მიეგებენ.

ასე გათავდა სწორეთ ისტორიული ორი სხდო-
მა. „ვისაც აქვს ყური სმენათ—ისმინონ“.

20 ნოემბერს სახელ. ღუმამ სოც.-დემოკრა-
ტების დაუსწრებლათ, ფეხზე წამოდგომით მოის-
მინა უქვეშევრდომლეს ადრესზე უმაღლესი რეზო-
ლიუცია: „მწამს გამოცხადებული გრძნობა, ველი
ნაყოფიერ შრომას“.

ამ-ს შემდეგ მთავრობის შესახებ კიდევ დაიწ-
ყო კამათი. ილაპარაკეს ოქტომბრისტებმა მათ. გა-
ნაცხადეს, რომ ოქტომბრისტებს „წარმომადგენ-
ლობითი წყობილება“ ესმის, როგორც კონსტიტუ-
ციონალური წყობილება. ტერორთან ბრძოლა მთავ-
რობის არა თუ უფლებას, მოვალეობას შეადგენსო,
მაგრამ ამავე დროს მთავრობამ არ უნდა დაივიწ-
ყოს მოქალაქეობრივი თავისუფლების იდეები და
ჰუმანიზმიო. ოქტომბრისტები ვერ შეუერთდებიან
მთავრობას და ვერც უარყოფენ მის პროგრამასო;
მათ თავისი საკუთარი გზა აქვსთ: მათთვის, ფიზი-
კურ ზომებისა და ძალის გარდა, არის სხვა ზომა
და ძალა, ეს არის რუსეთის განახლება რეფორმე-
ბის საშუალებითო.

ასე ორჯოფულათ ლაპარაკობენ ოქტომბრის-
ტები: არც ვეთანხმებით და არც წინააღმდეგი ვარ-
თო. მაგრამ „საქმენი შენი გამოგაჩინებენ შენ“.

ამავე სხდომაზე ილაპარაკა ჩვენმა დეპუტატმა
კ. ჩხეიძემ (ს.-დ.). თუ მთელი არეულობა, როგორც
ამას დეკლარაცია აზბობს, უკიდურეს მემარცხნეებმა
გამოიწვიეს, მაშძალა მათში ყოფილაო, —სიტქვა მან.
ჩხეიძემ პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ,
რომ მემარცხენეთა ბანაკში თავი მოუყარეს ანარ-
ქისტებს, მძარცველებს, ქურდების და ჯიბგირების
ბრბოებს. ქურდები და მცარცველები გაჩენილია
თვით ბიუროკრატისაგან და ამის გადაბრალება
უკიდურეს მემარცხენებზე ეს არის: „ჩემი
შენ გითხარი, გული მოგიკალიო“. რაც შეეხება
აგრარულ და მუშათა საკითხს, სოც.-დემოკრატები
განაცხადა ჩხეიძემ, ცხადია, არ ეთანხმებიან ამ კით-
ხვების ისეთ დაყენებას, როგორც ეს მთავრობის
დეკლარაციაშიაო. ორატორის აზრით, ყველა ერე-
ბის მოთხოვნები მაშინ დაკმაყოფილდება, როცა
ისინი ყურად იღებენ რუსეთის პროლეტარიატის
ხმას, რადგან მხოლოდ ის არის ნამდვილი მტკიცე
დემოკრატიაო.

ტამოშკინმაც (ამიერ-კავკასიის რუსების წარ-
მომადგენელმა) აღიმალა ხმა ამ სხდომაზე. მან
ამიერ-კავკასიის რუს მცხოვრებთა „პატრიოტული“
სურვილები გააცნო ღუმის და გამოესარჩლა ამიერ-

ეროვნული

კიდევ ახს. კოლხიდის კამპიის ბრძოლის

(შასუსთაძე ბ. ქუთათურის)

კავკასიის რუს ხელოსან მუშებს, რომელნიც ვითომდა „დამონავებული და შევიწროებული“ ყავთ სოციალ-დემოკრატებს.

მთავრობის დეკლარაციის შესახებ კიდევ 22 ოქტობრმა უნდა ილაპარაკოს.



მ ზ ე დ ე ლ ი.

გიგო! ქურას დაუბერე,
მოიმარჯვე ხელში კვერი,
დაკარ ბორკილს, ბარემ დროზე
გამოვჭედოს ეს ოხერი!

კარგათ ვსცით ამ ბორკილებს
დაადებენ ჩვენს ძმებს, შვილებს,
და ტანჯავენ, აწამებებენ
მით სიმართლისა მოციქულებს.

მაგრამ, ძმაო ვარი რომ ვთქვათ,
სისხლს გვადენენ ცხვირს და პირში,
„ბუნტოვშიკ“ მოგვნათლავენ,
გავგვზავნიან შორს, ციმბირში.

და თუნდ ასეც რომ არ იყო,
შიშშილიც ხომ ძალას გვატანს
ავასრულოთ მტრის სურვილი,
როცა საქმეს კი მოკვიტანს?

მაშ ასწიე, ძმაო, კვერი,
დატრიალდი, გაიძვირე,
დაკარ შედგრათ, ბარემ დროზე
გამოვჭედოთ ეს ოხერი!

ვ ხაზრუხაძე.



ს ს ვ ა დ ა ს ხ ე ა ა მ ბ ე ბ ი.

*** 22 ნოემბერს, მეორე დუძის ს. დ. დეპუტატების გასამართლების დღეს, ქუთაისში გაიფანტნენ მუშები, მოსამსახურეები, ნოქრები და ადგილობრივი მოსწავლე სხალგაზნდობა.

*** 23 ნოემბერს პოლიციამ დაიკისა 20-მდე ნოქარი, რომელთა სია წინა დღით შეეჯგინა პოლიციას, და გუბერნატორს წარუდგინა. გამოკითხვის შემდეგ უკლანა განთავისუფლეს, მხოლოდ გაფრთხილეს: „თუ კიდევ გაგებდავთ ასეთი თავხედობა და გაფრთხილდით, უკლანს ციმბირში ამოგაყოფებთ თავებსო“.

*** გაფიცვის გამო შეიძერეს გაიზნაისის ორი მოსამსახურე, რომლებიც ჯერაც არ გაუნთავისუფლებათ.

*** დღეს, 25 ნოემბერს, ქალაქის სკრებულოს დაბაზში დანიშნულია სხადმო, რომლის შემოსაკადიც სკვირბა შეიკლვის სისარკებლოთ წაგა.

11 ნოე. ქუთაისში მოხდა „კოლხიდის“ კრება. ჩვენ არ შევხებთ არც ამხანაგობის საქმეებს საზოგადოთ, არც უკანასკნელ კრებას კერძოთ. არ შევხებთ განზრახ, რადგან კარგი არაფერი გვქონდა სათქმელი და ცუდის თქმა კი არ გვინდოდა, ეგების მომავალში მაინც რაიმე გამოიჩეკოს „კოლხიდიდან“, რომელიც დღეს ძლივს ლაფავს სულს.

რას გავს, მაგ., ის, რომ ამხანაგობის 1906 წლის მოქმედების ანგარიშის განსახილველათ კრება მოწვეული იყო მხოლოდ 1907 წლის დაბოლოს, თითქმის ერთი წლის შემდეგ? ან ის, რომ ანგარიში მარტო მშრალ ციფრებში გამოხატეს და პატარა მოხსენებაც კარ დაეწერათ, რომ საქმის ვითარება აქსნათ იმათთვის, ვისაც ბუზგალტერია არ ესმის? რათ ღირს ხალხისათვის ისეთი ამხანაგობა, რომელიც პარკს, ბამბას და სხვა ნაწარმოებს პირდაპირ გლვებებისაგან კი არ ყიდულობს, არამედ ჩარჩებისაგან? ჩვენ კიდევ ბევრი ამისთანები შეგვეძლო აღგვენიშნა, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც საქარისია იმის გასაგებათ, თუ რა ფასი აქვს ამხანაგობის დღევანდელ მოღვაწეობას საზოგადოებისათვის.

მაგრამ ყოველივე ეს იმას არ ნიშნავს, რომ „კოლხიდის“ გამგეობის წევრნი: ბ. ბ. ქუთათელაძე, დათეშიძე, კვიციანიძე და სხვები საყვედურის ღირსნი იყვნენ. პირიქით, როცა ხედავ, რომ ისინი, სრულიად უსასყიდლოთ ეწვევიან ისეთ საბასუხო საქმეებს, როგორიც არის, მაგალ., ათი-ათასობით პარკისა და ბამბის ყიდვა-გაყიდვა, სიმპატიის შეტს ვერას იგრძნობთ.

რაკი „კოლხიდის“ საქმეებზე ცუდის თქმა არ გვინდოდა, ამიტომ მათუსალა შეეხო უმთავრესად, „ბრწყინვალე“ თავადის პეტრე წულუკიძის უმგვანო საქციელს. ახლა ა. წულუკიძეს მოსარჩლე გამოსჩენია—ბ. ქუთათური, „ისრის“ კორესპოდენტი.

ბ. ქუთათური ისე ასწერს საქმეს, თითქო სერ. ჯაფარიძე და ი. კილაძე წინააღმდეგი იყვნენ ილია ჭავჭავაძის ფონდისთვის გადაედლოთ ამხანაგობის მოგება (341 მ. 93 კ) როგორც პირდაპირ, ისე შემდეგი წლის ხარჯ-აღრიცხვაში შეტანის სახით. „გული არ გულობდაო“, დაასკვნის ტენდენციურათ ბრძენი კორესპოდენტი.



ნამდვილათ კი საქმე ისე არ ყოფილა, რომ სხვის გულში ხელის ფათურს ამართლებდეს.

მას შემდეგ, როცა კრებამ დაამტკიცა გამგეობის ანგარიში და დაადგინა. 341 მ. 95 კ. მოგება დივიდენდათ გადაიდვასო, კრების თავმჯდომარემ წაიკითხა ი. ჭავჭავაძის ფონდის გასაძლიერებლად შემდგარი ქალთა წრის მოწოდება. პ. წულუკიძემ წინადადება შეიტანა, მთელი მოგება გადავდოთ ფონდისთვისო.

აი მაშინ სერ. ჯაფარიძემ და ივ. კილაძემ უპასუხეს, რომ, წესდების ძალით, დივიდენდის გადადება ამა თუ იმ საგნისთვის შეუძლია მხოლოდ დივიდენდის პატრონს—ცალკე წევრს და არა კრებას, რომლის უფლებას ეს არ შეადგენსო, ამიტომ ყველა ჩვენ ვინც კი აქა ვართ, უარი ვსთქვათ დივიდენდზე და გარდა ამისა კიდევ საკუთარ ჯიბიდან დავეხმაროთო. ამასთანავე ჯაფარიძემ და კილაძემ ამოიღეს ფული და გადასცეს კრების თავმჯდომარეს, კ. ბაქრაძეს, პირველმა 10 მან., მეორემ 3 მანეთი.

წამოხტა ქუთაისის საურთიერთო ბანკის ცნობილი „პოლვაწე“ პეტრე წულუკიძე და სთქვა „რეჩი“: რა სალაპარაკოა, ბატონებო, რაღაც 341 მ. როცა დიდებულ საქმისთვის უნდათო, მარა ლაპარაკობენ იმიტომ, რომ ი. ჭავჭავაძის წინააღმდეგი არიანო. თ. წულუკიძეს უპასუხეს: თქვენთვის ყველაფერი შესაძლებელია, ჩვენ კი უხერხულათ მიგვაჩინა სხვის მაგვირათ სხვისი ფულის გადადებ-გადმოდება, თუნდ ეს სიმპატიურ საქმისთვის უნდოდეთ, როგორც ამ შემთხვევაშიო; მაგრამ თუ კი საქმის კანონიერათ მოგვარება შეიძლება როგორმე, ჩვენც თანახმა ვიქნებითო.

ამის შემდეგ ვ. კილაძემ (და არა წულუკიძემ) შეიტანა წინადადება: დივიდენდს, რაკი ის დამტკიცებულია, ჩვენ ხელს ვერ ვახლებთ წესდების ძალითო, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია შემდეგი წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შევიტანოთ და იქიდან გადავდოთ ილიას ფონდისთვისო.

ამის წინააღმდეგ სერ. ჯაფარიძეს და ივ. კილაძეს კრინტიც არ დაუძრავთ, და, როცა კითხვა იყო დასმული, რამდენი გადავდოთ 150 თუ 200 მანეთიო, ჯაფარიძემ და კილაძემ ფეხზე ადგომით 200 მ. დაუჭირეს მხარი.

ასეთი იყო საქმის ნამდვილი ვითარება. ამის მოწმენი არიან: კრების თავმჯდომარე

კ. ბაქრაძე, გამგეობის თავმჯდომარე თათელაძე, გ. ზდანოვიჩი, ი. კვიციანიძე და სხვები. იქვე იყო ბ. პეტრე ყიფიანიც, თუ... გაიხსენებს. ამას ამოწმებს გაზ. „ЗАКАВК.“ (16 ნომბრის), სადაც ნათქვამი იყო, რომ 200 მან. ერთხმად გადადევს ფონდისთვისო. კარგი იქნებოდა, ბ. ქუთათური დაეკითხებოდეს „ЗАК.“ კორესპონდენტს.

აქედან აშკარაა, რომ 1) სტყუის ბ. ქუთათური, როცა ის სწერს, ვითომ ს. ჯაფარიძე და ი. კილაძე იმისი წინააღმდეგი იყვნენ, რომ 200 მან. ხარჯთ-აღრიცხვაში შეეტანათ და ფონდისთვის გადაეღვათ;

2) მახინჯებს საქმის ვითარებას ბ. ქუთათური, როცა ის განზრახ სდუმს იმაზე, რომ ჯაფარიძემ და კილაძემ ფული წარუდგინეს თავმჯდომარეს—ილია ჭავჭავაძის ფონდის სასარგებლოთ;

3) ყოველივე ამას ბ. ქუთათური კადრულობს მხოლოდ იმისთვის, რომ ეთქვა, „გული არ გულობდაო“.

დასასრულ ვკითხავთ ბ. ქუთათურს: ნუ თუ პარტიობას ისეთი გამათახსირებელი გავლენა აქვს, რომ გაზეფის მუშაკსაც კი არ შეუძლია თავი შეიკავოს და ფაქტი მაინც არ დაამახინჯოს, რაო და იქნება ამით სხვა პარტიის კაცი დავამციროო.

სირცხვილი!

ისტორიული მატერიალიზმი.

I.

უტყუარი ფაქტია, რომ კაპიტალისტურ წარმოების წესმა, თანამედროვე სოციალურ პირობების მიერ წარმოშობილმა სოციალურ-პოლიტიკურმა უკუღმართობამ, პროლეტარიატს მებრძოლის როლი არგუნა; პროლეტარიატი იბრძვის არა მარტო ეკონომიურ და პოლიტიკურ ნიადაგზე, არამედ თეორიულადაც. მან შეიმუშავა ახალი მსოფლ-მხედველობა, რომელიც დიამეტრალურათ (ერთიანათ) უარყოფს არსებულ ბურჟუაზიულ მსოფლ-მხედველობას; პროლეტარიატის მომავალი იდეალი სრული უარყოფაა ყველა ბურჟუაზიულ იდეალების. ამ იდეალის საფუძვლიანი დასაბუთება, ჩვენის აზრით, მუშათა განთავისუფლების ერთ მძლავრ იარაღათ უნდა ჩაითვალოს. პროლეტარიატის ფილოსოფიას, მის სისტემის ქვაკუთხედს წარმოადგენს ისტორიულ მატერიალიზმის თეორია. ამ წერილებში ჩვენ მიზნათა გვაქვს, შეძლების დავგარათ, მარქსის ისტორიულ მატერიალიზმის შინაარსის გარკვევა.

ვინც კი მარქსიზმს ცოტათი მაინც გაცნობია, უკუველათ ეცოდინება, რომ კ. მარქსმა 1859 წ. თავის ცნობილ წიგნის „*critique der politischen ökonomie*“-ის წინასიტყვაობაში გენიალურ ფორმულებით განმარტა ისტორიულ მატერიალიზმის თეორია, რომელიც თვით მარქსმა და მისმა თანამოაზრემ ფრიდრიხ ენგელსმა გამოიყენეს პირველათ, როგორც კვლევის მეთოდი სოციალურ (საზოგადოებრივ) მოვლენების ასახსნელათ. ამ „მაცდურ“ თეორიას ყველა ბურჟუაზიული ეკონომისტები, სოცოლოგ-ფილოსოფოსები და სხვ. ზიზლით უყურებენ, მათ არც კი უნდათ გაიგონ მისი ნამდვილი შინაარსი და მის აზრს ყოველ ფეხის გადადგმაზე განგებ ამახინჯებენ. ხოლო ის ბურჟუაზიული იდეოლოგები, რომლებიც კარგათ იცნობენ ამ თეორიას, ან მის მეთოდის საფუძვლიანობას, გაურბიან მის ხმარებას სოციალურ მოვლენების კვლევის დროს, რადგან ასეთი გამოკვლევა ისეთ დასკვნამდე მიიყვანდა, რომელიც ერთიანთ ეწინააღმდეგებოდა მათ ბურჟუაზიულ მსოფლ-მხედველობას. იმის მაგიერ, რომ ცოტა თავი შეეწუხებინათ და ცდილიყვნენ ამ მეთოდის საშვალეობით ისტორიულ ფაქტების განხილვას, რაც მათ მხრივ სამართლიანი საქციელი იქნებოდა, ისინი ჩვეულებრივ წინდაწინვე აკვიატებულათ გაიძახიან, მეცნიერული არ არიო, და აბსტრაქტიულათ, განყენებულ მსჯელობის საშვალეობით ცდილობენ დაამტკიცონ ამ მეთოდის სრული უვარგისობა. ისინი უკმაყოფილოთ აცხადებენ, ვითომ ისტორიული მატერიალიზმი თითქმის სრულიად უარყოფდეს იდეის მნიშვნელობას, მის ზეგავლენას ისტორიის მსვლელობაზე, მის ძალას... ვითომ ისტორიული მატერიალიზმი ბრიყვულათ ეპყრობოდეს აბსოლიუტურ ქეშმარიტებას, სავსებით უარყოფდეს ადამიანის მოქმედებას, უარყოფდეს სურვილის, ნების თავისუფლებას, ქადაგებდეს სრულ ფატალიზმს და სხვა..

მაგრამ საინტერესოა, თუ რას იტყოდენ ეს ვაჟბატონები ისეთ დურგალზე, რომელსაც ჯერ არც კი უხმარია, ვთქვათ, ხერხი ან შალაშინი და მაინც წინდაწინვე ლაპარაკობს მათ უვარგისობაზე? მართალია, მას შეუძლია წინასწარი მსჯელობა იქონიოს მის ავ-კარგეობაზე, უარყოს მისი პრაქტიკული მნიშვნელობა, მაგრამ ამავე დროს ისიც უნდა იცოდეს, რომ ჯერ-ჯერობით მათზე უკეთესი გაუმჯობესებული იარაღი არ მოიპოვება. კრიტიკა ასეთი კრიტიკოსებისა უფრო ნაყოფიერი და ამასთან სამართლიანიც მაშინ იქნებოდა, რომ ისინი თავიანთ კრიტიკულ მოსაზრებას პრაქტიკულ დაკვირებაზე ამყარებდენ და თავისი თეორიის ის-

ტორიული ფაქტებით ამართლებდენ და თავი დაანებებდენ მრჭერმეტყველოურ კამათსა და აბსტრაქტიულ საბუთების მოყვანას ისტორიულ მატერიალიზმის თეორიის წინააღმდეგ. როგორც ადამიანმა ჯერ ქვის ჩაქუჩი გამოიგონა და შემდეგ, მუდმივ ხმარება-დაკვირვებაში, თანდათან გააუმჯობესა (დღეს თანამედროვე ინდუსტრიაში ჩვენ ვხედავთ ათამდე სხვადასხვა კონსტრუქციის ჩაქუჩს), ისე უნდა მოპყრობოდენ ბურჟუაზიული იდეოლოგებიც მარქსის ისტორიულ მატერიალიზმის კვლევის მეთოდს. მაშინ დასახელებულ იდეოლოგების საქციელი დასახელებულ თეორიის მიმართ, რასაკვირველია, უფრო სამართლიანი იქნებოდა.

საზოგადოთ ცნობილია, რომ თეორეტიკოსები უფრო ადვილათ შედიან შეცდომაში, ვიდრე პრაქტიკულათ მომუშავენი: უკანასკნელთა მოქმედება მუდამ ხანგრძლივი პრაქტიკულ და თანდათან ცვლილების ნაყოფია. თეორეტიკოსების დასკვნები კი ჩვეულებრივ რთულ სილოგიზმის, განყენებულ ლოგიკურ მსჯელობის შედეგია, რასაც რეალურ სინამდვილესთან საერთო ბევრი არაფერი აქვს.

ძველ საბერძნეთის ნატურალურ-ფილოსოფოსმა, დემოკრიტმა, რომელიც ცხოვრობდა 500 წ. წინეთ ქრისტეს დაბადებამდე, პირველათ მოგვცა წარმოდგენა ატომზე და მით განმარტა მატერიის (ნივთიერების) სტრუქტურა (შედგენილობა), იმის მაგიერ, რომ შემდეგ ფილოსოფოსებს დემოკრიტის ატომიურ ჰიპოტეზის საფუძვლიანობა ექსპერიმენტალური გზით განეხილათ, მთელი ჯგუფი ფილოსოფოსებისა, როგორც, მაგალითათ, ემპიდოკლი, ჰერაკლიდი, ანაქსაგორი და სხვები, მთელი ორი საუკუნის განმავლობაში განყენებულათ კამათობდენ ატომებზე. ზოგი მათგანი ამტკიცებდა, რომ მატერია (ნივთიერება) ყოველთვის იყოფა სხვადასხვა ნაწილებათ, ზოგი, პირიქით, ამტკიცებდა მატერიის ერთიანობას, გაუნაწილებლობას; ზოგი კი სულ წინააღმდეგი აზრის იყო და ამტკიცებდა, რომ მატერია (ნივთიერება) ცარიელია, მოკლებულია შინაარსიანობას (содержимости), და სხვა.. მხოლოდ რამდენიმე საუკუნის შემდეგ, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, პირველათ ფიზიკო-ქიმიკოსებმა ისარგებლეს დემოკრიტის აზრით და აგვისხსნეს, თუ რა დამოკიდებულება არსებობს სხეულსა და გაზს შორის. ძველ ნატურ-ფილოსოფოსებმა არ იცოდენ, როგორ ესარგებლათ და რა საშვალეობით გამოეკვლიათ მატერიის შედგენილობა. მხოლოდ თანამედროვე ქიმიკოსების ხელში შეიქნა ის დაკვირვება-გამოკოლივის ობიექტი (საგნათ). ამ ქიმიკოსებმა




გაუმჯობესებულ ფიზიკო-ქიმიურ აპარატების (იარაღების) საშვალეებით თვით მატერია წვრილ და თანასწორ ნაწილებათ (ატომებათ) დაყვეს, და ეს წვრილი ატომები კი ეგრეთ წოდებულ წყალბადის ატომებათ (водородный); თვითთელი ეს ატომი, როგორც იგივე ქიმიკოსები ამტკიცებენ, ასი ნაწილისაგან შესდგება და განსაცვიფრებელი სიჩქარით ტრიალებს თავის ცენტრის გარეშემო. (geschichte der Philosophie. von Dr. Albert Schwegler). აქ მოყვანილ მაგალითიდან ნათლად მტკიცდება, რომ წმინდა აბსტრაქტიული (განყენებული) მსჯელობა, უფაქტოთ და უსაბუთოთ, ჩვეულებრივ უნაყოფო და უშინაარსია; მხოლოდ დაკვირვება და ფაქტების მატერიალურ სამეფოში კვლევა-ძიებაა ნაყოფიერი. ტყუილათ კი არა სთქვა გენიოსმა გიოტემ: „პირველათ იყო ფაქტიო!“ ჩვენ ვამბობთ, ისტორიული მატერიალიზმი ახალი იარაღია, ანუ ახალი კვლევითი მეთოდია, რომელიც კარლ მარქსმა მისცა სოციალისტებს ისტორიულ ფაქტების გამოსაძიებლათ, სოციალურ ფენომენების (მოვლენების) ანალიზის საქნელათ და მით მთელი ისტორიული ფაქტების ერთნაირ სისტემაში მოსაყვანათ. ოფიციალურმა ისტორიკოს-სოციოლოგებმა და საერთო ბურჟუაზიულმა იდეოლოგებმა თავიანთ კვლევითი მეთოდის საშვალეებით ვერ შესძლეს ისტორიულ ფაქტების სისტემაში მოყვანა მათი კლასიფიკაცია და საფუძვლიანათ განმარტება. ბურჟუაზიული აზროვნების სივიწროვე აიძულებდა მათ ეფიქრათ, რომ ახალი კვლევითი მეთოდი (ისტორიული მატერიალიზმი) მხოლოდ სოციალისტების მონაპოლიას შეადგენს. ამ ჯურის იდეოლოგები ჯერ მთლათ არ არიან დარწმუნებული დასახელებულ მეთოდის ავ-კარგიანობაში, მაგრამ ეს „მეცნიერების შარლატნები“ მაინც სწერენ სქელ-ტომიან წიგნებს ისტორიულ მატერიალიზმ-ს წინააღმდეგ, უღმობელათ აკრიტიკებენ მას თავიანთ ურიცხვ ჟურნალ-გაზეთებში, თუმცა ეს კრიტიკა დაბოლოს დადებით არაფერს არ იძლევა, პოზიტიურათ არაფერს არ განმარტავს; თანამედროვე ფიზიკო-ქიმიკოსები კარგათ გრძნობენ, რომ დემოკრიტის ატომისტური ჰიპოტეზა საკმარისი არაა მატერიის შედგენილობის ასახსნელათ, მაგრამ ისიც კარგათ იციან, რომ დემოკრიტის ატომი შემდეგში საფუძვლათ დაედო თანამედროვე ქიმიას. (Über die materialistische geschichtsauffassung. von Paul lafargue).

კარლ მარქსს ისტორიული მატერიალიზმის თეორია, როგორც მზა-მზარეული მეცნიერული სისტემა კი არ მოუცია, თავის თეორემებით, დეტა-

ლურათ (დაწვრილებით) ახსნილ-განმარტებული; მან მოგვცა ეს, როგორც კვლევითი მეთოდი, რომლითაც პირველათ მან თითონ იხელმძღვანელო ისტორიულ მოვლენების ასახსნელათ. (იხ. კ. მარქსის „სამოქალაქო ომი“). შეიძლება გაკრიტიკება მხოლოდ ამ მეთოდით გამოყვანილ დასკვნებისა, როგორც, მაგ., კლასთა ბრძოლის თეორიისა, მიღება ან უარყოფა თვით ფაქტებისა. მაგრამ ბურჟუაზიული ფილოსოფოს-ისტორიკოსები სულ წინააღმდეგ იქცევიან: ესენი ამ მეთოდს ისე უყურებენ, როგორც ჭუჭყიან იარაღს, ვინაიდან იგი ისტორიის მოძრაობის ერთ ძრიელ ფაქტორთაგანია. ფაქტიურათ ისტორიულ მატერიალიზმის თეორიამ ანუ, უფრო სწორეთ რომ ვსთქვათ, ისტორიულ მატერიალიზმის მეთოდმა მიღწე-მოღწეწა და არარათ აქცია ყველა ის კვლევითი მეთოდები, რომლებიც ისტორიულ მოვლენების ასხნას ეკონომიურ ანუ წარმოების ურთიერთობაში არ ეძიებდენ; მან სამუდამოთ მოუღო ბოლო ყველა იმ არა რაციონალურ მეთოდებს, რომლებიც სოციალურ მოვლენების ბაზისათ ადამიანის ფსიხიკას აღიარებდენ.

ჩვენ ვამბობთ, რომ მარქსის ისტორიული მატერიალიზმის მეთოდი არ წარმოადგენს ერთ დამზადებულ შაბლონს, რომელაც შეეწყობოდეს ყველა ისტორიულ ფაქტს ან მოვლენას, იგი მხოლოდ სახელმძღვანელო ძაფია ისტორიის შესწავლისათვის. ასე ესმოდა ფრიდრიხ ენგელს ისტორიულ მატერიალიზმის მნიშვნელობა და ასევე ესმის თვით კარლ კაუცკისაც. უკანასკნელი ერთ თავის ცნობილ წიგნაკში („კლასთა წინააღმდეგობა 1789 წ.“) ამბობს: ბურჟუაზიულმა იდეოლოგებმა მარქსის ისტორიული მატერიალიზმი ძალიან ვულგარულათ გაიგეს: ერთობ დიდი შეცდომა იქნება, თუ ვინმე იფიქრებს, ვითომ, ისტორიულ მატერიალიზმის თვალთა ხედვის ისრით, მთელი საზოგადოება მუდამ და ყოველ ისტორიულ მომენტში დანაწილებული იყოს ორ მებრძოლ, ერთიმეორის წინააღმდეგ კლასებათ, ორ მტკიცე ერთგვარ მასსებათ — რევოლიუციონერებათ და რეაქციონერებათ. „საქმე რომ ასე მარტივი ყოფილიყო, ამბობს იგივე კაუცკი, - მაშინ ისტორიის დაწერა ძალიან ადვილი საქმე იქნებოდა. ნამდვილათ კი ისტორიულ მოვლენათა ურთიერთობა ისე მარტივათ და მწყობრათ არ არის დალაგებული, როგორც ზოგიერთ უვიცებს გონიათ. ადამიანთა საზოგადოება ძალიან რთული სოციალური ორგანიზმია, იგი დანაწილდება სხვადასხვა ინტერესებით აღჭურვილ კლასებათ, მრავალ სხვადასხვა წოდებათ; ყველა ესენი



ადგენენ სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებს თავი-
ანთ ინტერესების დასაცველათ“ (Die klassenge-
gensätze von 1789 von Karl Kaytsky).

პირველი შეხედვით კაცობრიობის ისტორია
წარმოადგენს ურიცხვ ფაქტების ხაოსს, რომლებიც
(ფაქტები) ისე არიან ერთი მეორეზე გადახლართუ-
ლი რომ, თუ ისტორიის მკვლევარს რაციონალუ-
რი კვლევითი მეთოდი არ ექნა, იგი ვერ შეძლებს
მთელ ამოდენა ფაქტების წესიერ კლასიფიკაციას,
მათ გრუპიროვკას, ვერ გამოაჩენს მათ ევოლიუ-
ციის (განვითარების) პროცესს.

ჩვენი მიზანი არაა ყველა ფილოსოფიურ სის-
ტემების განხილვა-გაკრიტიკება; ჩვენ ამისთვის არც
დრო გვაქვს და არც ხალისი, მიიხ უმეტეს, რომ
ამაების გამოკიდება საკვლევ საგანს ძალიან დავვა-
შორებდა. ჩვენ შევეუდგებით მარქსის ისტორიულ
მატერიალიზმის დოქტრინის პოზიტიურ გამოკვლე-
ვას და მით ჩვენ წერილებს მკითხველს ისტორი-
ულ მატერიალიზმის სისტემის სინტეტიურ განხილ-
ვას (ინჰორ) მივცემთ. ვიდრე საგნის პირდაპირ
გარკვევას დავიწყებდეთ, მკითხველის ყურადღებას
მივაქცევთ ისტორიულ მატერიალიზმის ერთ წერ-
ტილს, რომელიც თვით პარტიულ ლიტერატურა-
შიაც კი სხვადასხვა შეხედულებას ბადებს; ეს ის
საკითხია, თუ რით განსხვავდება ისტორიულ მატე-
რიალიზმის თეორია ნატურალურ-ფილოსოფიურ
მატერიალიზმისგან.

შვადისი.

ს ა კ ა ნ ი მ.

„ნიშადურის“ რედაქციას რომ კაი ხანია, ნამ-
დვილი ნიშადური შემოვლია და ზოგიერთ ქუთა-
თურ ვაჭრებივით თაღლითს ასაღებს, ეს ყველასა-
თვის ცნობილია. ისიც დიდი ხანი ცნობილია,
რომ ყოველ გოშიას წკავწკავს თუ ყურადღება მი-
აქციე, თავს ქოფაკათ წარმოიდგენს და ყფით ყუ-
რებს გამოგიყრუებს. ასეთ ვაჭბატონებს თუ ხანდა-
ხან ზურგი არ აუწვი, ისე თავის ქანდარას ვერ
მოსძებნიან.

„ნიშადურის“ № 13-ში ვილაც მეგობარი (არ
ვიცი ვისი, ჩემი, თუ იაკობის. ჩემი რომ არ უნდა
იყოს, ეს მისი შენიშვნიდან სჩანს, ხოლო თუ ია-
კობის მეგობარია, მოვავონებ რუსულ ანდაზას:
услужливый дуракъ... და სხვა.) სწერს: „იაკობ
ფანცხავა ძლიერ დაუშინებია მეფარნეების აბლაკა-
ტის „წელკავის წერილსო...“ მეფარნეების აბლაკატი
რომ მიწოდა, დიდი შეურაცხყოფა მომაყენა, გო-

ნია უბადრუკს! ერთი გკითხავთ, თქვენ თვითონ
ვისილა აბლაკატი ბძანდებით? იაკობის მეგობარ-
ხართ. დარწმუნებული ბძანდებოდეთ, იაკობს თქვენ-
ნი დამცველობა არ ესაჭიროება. იმას კალამიც
თქვენზე უფრო უჭრის და ქკუაჯ. თუ რამ თავის
გასამართლებელი ქონებოდა, თქვენი დახმარება არ
დასჭირდებოდა. შეუცთომელი, ჩემო არამეგობარო,
ქვეყნათ არავინ არაა. უნდა ვიფიქროთ, არც იაკო-
ბი უნდა იყოს. თავისი შეცთომა მას აღბათ შეუ-
გნია და თავის დაცვა საჭიროთ არ უცვნია. თქვენ
კი გამომდგარხართ და „არა მკითხე მოამბესავით“
არახუნებთ: „რამდენიც გნებავთ ნავთი იბარეთო...“
დარწმუნებული ბძანდებოდეთ, იაკობი თქვენსავით
გულჭუჭყიანი არაა, მას მეფარნეებისათვის ქურდო-
ბა არ დაუწამებია და ვერც ჩვენს წერილში ამოი-
კითხავდით ვერაფერს ამის მსგავსს. ეს საკუთარი
თქვენი ფანტაზიის ნაყოფია.

დასასრულ ქართულის უცოდინარობას მიკი-
ეინებთ.—უნდა გამოვტყდე, რომ მაინცადამაინც
ქართულის კაი ცოდნას ვერ დავიჩემებ. ვწერ ისე,
უბრალოთ, ჩვენებურათ, სახოკიას ლექსიკონით არ
ესარგებლობ, მარა, როგორც თქვენი „რამე-რუმე-
დან“ სჩანს, არც თქვენ ყოფილხართ ქართულის
ბედაური მცოდნე! ერთი, თუ კაცი ხარ, სინიდის
ქვეშ მითხარი, რათ ხმარობ სიტყვებს: **დაძლესა,**
ქანონრანა, **კლუბი,** **შეღაგოგა** და სხვ. ესენი ხომ
ქართული სიტყვები არაა, ზოგი ფრანგულია, ზო-
გი ბერძნული და სხვ. **სჰაჩკამ** რაღა დააშავა? რო-
გორც ზემოთ ჩამოთვლილი სიტყვებია დღეს ჩვენ-
ში ხმარებაში და იმათ თქმასა და დაწერას არავინ
გვიკიეინებს გიჟის მეტი, არა ნაკლებ ხმარებაშია
სიტყვა **სჰაჩკან** და მიკვირს, ასე რათ ამოგითვალწუ-
ნებიათ!

შეიძლება ბძანოთ, რომ ის სიტყვები კულტუ-
რულ ენებიდანაა შემოტანილი, **სჰაჩკა** კი უკულ-
ტურო ერის სიტყვააო. ვანა ამაზე უფრო უკულ-
ტურო ერის სიტყვები არაა შემოტანილი ჩვენს
ლიტერატურაში? თქვენ თუ არ იცით, მიგიითი-
თებთ ჩუბინოვის ქართულ-რუსულ ლექსიკონზე, იქ
ასობით პოეებთ ასეთ სიტყვებს. ზოგიერთს კი ისევ
თქვენი „აბდა-უბდა“-დან დავისახელებთ: **მეფარნე-**
კუბა იქნება თქვენ ქართული გგონიათ? სპარსული სიტ-
ყვაა, ქალაქი—სომხური, ფურნე—ოსმალური და
სხვ. მაგრამ არხეინათ იყავით, ამ სიტყვების ხმარე-
ბას მე თქვენ ქართულის უცოდინარობაში არ ჩა-
მოგართმევთ. თქვენ ნამდვილი ქართული სიტყვე-
ბიც კი ქართულათ არ გცოდნიათ. ერთი მიბძანეთ,
სადაურია **ქსლან,** **კადან...** გირჩევთ წერის დროს
ბ. სილოვან ხუნდაძის **სადღატურატურა ქართულა**



სახელმძღვანელოთ წინ დაიდოთ! ან როგორი ქართულია „თავის მოქმედებებში არავის არავითარს ანგარიშს არ აძლევს“. სიტყვა მოქმედება საზოგადოთ მრავლობით რიცხვში იშვიათათ იხმარება. თუ იხმარება მხოლოდ მეორე მრავლობითი რიცხვის დაბოლოებით, პირველ მრავლობითში კი არასოდეს. თუ არ გჯერათ, მელიტონს კითხეთ და ის აგიხსნისთ.

ჩავეყვით ქვევით

„მე მზათა ვარ დაგდოთ ჰატავი“... აფერუმ ბიჭო! საიდან ამოკრიფე ასეთი მარგალიტები?! იქნება ესეც ქართული გგონიათ! თქვე დალოცვილო, საბჭოს წევრებს რას ემართლებით, პეტრიაშვილმა მწერსა თავსა თქვენსა დასდოს პატივი!

წელკავი.



ნაწყვეთები წაკსულიდან.*)

გადაპრანჭული ჩაკმა-დახურვა უტოპიაში არ იციან და თითო ხელი სამუშაო ტანისამოსი აქვთ, თითო ხელი საგარეო ქალაქს გარეთ არის გაშენებული საავთმყოფოები. ყოველგვარი სანოვანის საუკეთესო ნაწილი იგზავნება საავთმყოფოებში და დანარჩენი ხმარდება მცხოვრებლებს. უტოპიაში ყოველ ოჯახს შეუძლია თავისთვის სახლში იმზადოს სადილი, მაგრამ რადგანაც ერთად სადილობა უფრო ადვილია და ნაკლებ შრომას ითხოვს, ამიტომ იქ უმეტეს ნაწილად ყოველი ოცდაათი ოჯახი ერთად სადილობს საერთო სახლში სადილს რიგრიგით ამზადებენ ქალები. უტოპიაში იციან სადილი და ვახშამი. თავისუფალ დროს საერთო სახლებში იმართება ხოლმე კონცერტები, წარმოდგენა და სხვ. უტოპიაში ყმაწვილი კაცები ცოლს ირთავენ მხოლოდ ოცდაორი წლიდან და ქალები თხოვდებიან თვრამეტი წლიდან. ქალიცა და კაციც უტოპიაში დიდ ყურადღებას აქცევენ ხასიათსა და ჯანმრთელობას: ახალგაზდები სანამ კარგათ არ გაიცნობენ ერთმანეთს და ერთი მეორის ხასიათს არ გააგებენ, მანამდე ჯვარს არ დაიწერენ, მაგრამ ესეც არა კმარა, —საჭიროა ერთი მეორის ჯანმრთელობის გაგებაც, ამისათვის უტოპიაში არსებობს ერთი ჩვეულება: ხანში შესულმა ქალმა ახალგაზდა ყმაწვილს სრულებით ტიტველი უნდა აჩვენოს თავისი საცოლე და ხნიერმა კაცმა კი ყმაწვილ ქალს უნდა აჩვენოს მისი საქმრო გახდილი. —სიცილი ვეღარ შევიკავეთ, როდესაც გავიგეთ, რომ უტოპიელებს იმისთანა ახირებული და სასაცილო ჩვეულება ქა-

ნიათო, ეუბნება მორს გითლოდვი: ჩვენ ამგვარი ჩვეულება სულელურ და სამარცხვინო ჩვეულებათო. —როგორ, გაიოცეს უტოპიელებმაო, განაგრძობს გითლოდვი: როდესაც კვიცს ყიდულობთ, იმას თუ კი სინჯავთ თავიდან ფეხებამდე, განა ცოლის შერთვა ნაკლები ყურადღების ღირსიაო? ვთქვათ უტოპიაში ვისმე მოუხდა მეორე ქალაქში წასვლა; მან ნებართვა უნდა გამოართვას თავის ქალაქის თავს და შემდეგ შეუძლია წასვლა. საცა უნდა მივიდეს, ყველგან აძლევენ ბინასაც, საზრდოსაც და ყოველისფერს საჭიროს: ხოლო თუ ერთ დღეზე მეტი დაჰყო, სავალდებულო ექვსი საათი უნდა იმუშაოს, რამდენ დღესაც დარჩება.

უტოპიაში სინიდისის სრული თავისუფლება: ვისაც როგორი სარწმუნოება მოსწონს, იმას აღიარებს. იქ მღვდლობა ქალსაც შეუძლია, ხოლო ქვრივსა და ხნიერს. რადგანაც კერძო საკუთრება, სიმდიდრე და ფუფუნება განდევნილია, უტოპიაში ექვსი საათის მუშაობით დღეში იმდენს საქონელს ამზადებენ, რომ თვითონაც კარგათა სცხოვრობენ და ბევრიცა რჩებათ, ზედმეტს მთავრობა უცვლის ემზობელ ერებს და ნაცვლით ართმევს იმ საქონელს, რაც უტოპიაში არ არის. ფული უტოპიაში არ არსებობს, იქ არაფერ არ ატარებს ოქროს ნივთებს, ძვირუას თვლებსა და სამკაულებს; ამგვარი ჩვეულება მათ ადამიანის ღირსების დამამცირებლად მიანიათ. ოქროს ხმარობენ მხოლოდ ბორკილებისა და პატარა ბავშვების სათამაშოებისათვის; მძიმე დანაშაულობისათვის დამნაშავეს ოქროს ბორკილებს უყრიან და ეს დიდ სასჯელად ითვლება. ერთხელ უტოპიაში მივიდნენ ბეორე სახელმწიფოდან ელჩები, რომლებსაც გულმკერდი ოქროთი ქონდათ შემკული; როდესაც ისინი ბავშვებმა დაინახეს, დაიწყეს სიცილი და ყვირილი: რა სულელები ყოფილან, აქამდე ოქროს სათამაშოებს ატარებენო. დიდებს კი ელჩები მასხარება ეკონათ, სანამ არ გაიგეს, რაში იყო საქმე. ამის შემდეგ ელჩები ყოველთვის უბრალო ტანისამოსში მოდიოდნენ მათთან და ჩინები და ორდენები აღარ მოქონდათ.

რადგანაც უტოპიაში კარგი ცხოვრების გამო ხალხი ძალიან მრავლდება და კუნძული არა ყოფნისთ, ამიტომ დრო და დრო უტოპიის მცხოვრებთა ნაწილი იძულებულია სხვაგან გადასახლდეს ხოლმე. ამისათვის საჭირო ხდება ახალი მიწების შემოერთება, რაც ზოგჯერ ჩხუბს იწვევს ხოლმე, მაგრამ უტოპიაში მუდმივი ჯარი არ არსებობს და არც სავალდებულოა სამხედრო სამსახური. მსურველები დრო და დრო თავს იყრიან და სამხედრო ხელობას სწავლობენ, ომიანობის დროს ამგვარი მსურ-

*) იხ. „ციხისკარი“ № 9

ლებისაგან შესდგება ხოლომე მილიცია და ის იცავს სამშობლოს ინტერესებს; ძალას კი არავის არ ატანს მთავრობა ომში წასასვლელათ, რადგანაც, უტოპიელების აზრით, ვინც მამაცია, იმას ძალდატანება არ უნდა, თვითონ აისხამს იარაღს და წავა სამშობლოს დასაცველათ; ხოლო ვინც მხთალია, იმისი ომში ძალით გაგზავნაც არა ღირს, რადგანაც თუ რასმე წახდენს, თორემ ვერაფერს გააკეთებს.

მკვდრებს უტოპაელები სწვავენ.

ასეთია ცხოვრება მორის მიერ გამოგონილ კუნძულზე. მორს თავისი წიგნით უნდოდა ხალხი დაერწმუნებია: მოაწყვეთ თქვენი ცხოვრება ისე, როგორც ჩემს უტოპიაშია და მაშინ გაბედნიერდებითო. როდესაც მორის წიგნი დაიბეჭდა, ბევრს ეგონა, უტოპია, თავისი ახალი წყობილებით, მართლა არსებობსო, და კითხულობდნენ: რა ალაგას იმყოფება, რომ სანახავათ გავემგზავროთო!

როგორც გვიმტკიცებს უტოპიის განხილვა, მორის აზრით სახელმწიფოში კეთილდღეობისა და ბედნიერების დასამკარებლათ საჭიროა:

1. კერძო საკუთრების გაუქმება და საზოგადო საკუთრების შემოღება,

2. სრული თანასწორობა,

3. სავალდებულო განათლება,

4. სავალდებულო შრომა,

5. სახალხო მართველობა ფედერატიულ ნიადგზე. აქედან ცხადია, რომ ტომას მორი ითხოვს კომუნისმს. რა საბუთით თხოულობს მორი ამგვარ წყობილებას? მისი ერთათ ერთი საბუთი იგივეა, რაც პლატონისა—სამართლიანობა. არსებულ სახელმწიფოებში მორი ვერსად ვერა ხედავს სამართალს. უსაქმური მუქთახორები ნეტარებაში არიან და მშრომელნი კი სიღატაკეშია, სწერს ის; ამიტომ სამართლიანობის სახელით თხოულობს ის კომუნისტურ წყობილებას, საცა სიმდიდრესა და სიღარიბეს ალაგი აღარ ექნება. მორი დარწმუნებული იყო, რომ სამართალი ადამიანის გარეშე არსებობდა და ის ითხოვდა ადამიანისაგან მორჩილებას; ნამდვილათ კი სამართალს ყოველი ადამიანი თვითონ ატარებს თავის არსებაში. მორს ეგონა, რომ არსებობს ერთი სამართალი ყველასათვის; ნამდვილათ კი ყოველ წოდებას და ხშირათ თვითეულ ადამიანს თავისი საკუთარი სამართალი აქვს. ის, რაც ერთი წოდების თვალში სამართალია, მეორე წოდების თვალში უსამართლობაა და ამ სხვადასხვა სამართლის შეტაკების დროს საქმეს მხოლოთ ძალა სწყვეტავს: ვისი ძალაც გაიმარჯვებს, სამართალიც მისი იმარჯვებს. მორს სწამდა, რომ ადამიანი თავის მოქმედებაში სამართალს მისდევს; მხოლოთ უნ-

და დაანახო, რაში გამოიხატება ეს სამართალი. ნამდვილათ კი ადამიანი მისდევს თავის მოქმედებაში პირად სარგებლობას უმეტეს ნაწილათ. მორი დარწმუნებული იყო, რომ ყოველ ადამიანში და ყოველ წოდებაში (გარდა მთავრობისა) პირადი სარგებლობა სამართალს ემორჩილება; ნამდვილათ კი ადამიანისა და განსაკუთრებით ყოველი წოდების სამართალი სრული მონაა მისი პირადი სარგებლობისა და ყოველი წოდება იმ ენაზე ალაპარაკებს ხოლომე თავის სამართალს, როგორცედაც მისი პირადი სარგებლობა მოითხოვს. ამიტომ სამართლის სახელით რისიმე მოთხოვა ცხოვრებაში ფრიათ სუსტი საბუთია მისი განხორციელებისა.

ჩვენ დავინახეთ, რომ ახალი წყობილების განხორციელებაში პლატონს იმედი ქონდა მეფეებისა და ისიც დავინახეთ, რომ ამგვარმა იმედმა მას კინალამ ტყავი შემოახია. მორს მთავრობისა და მეფეების იმედი არა აქვს; თავის იმედებს ის ამყარებს საზოგადოების შეგნებაზე. ის დარწმუნებულია, რომ, როდესაც საზოგადოება შეიგნებს ახალი წყობილების სიმშვენიერეს, კიდევ განახორციელებს მას. მან სრულებით არ მიიღო მხედველობაში, რომ იმ საზოგადოებაში, საცა კერძო საკუთრების წყალობით ქონებრივი სხვადასხვაობა არსებობს, შეგნებაც სხვადასხვა ნაირია; ერთ წოდებას ერთი შეგნება აქვს, მეორეს წინააღმდეგი და როდესაც ეს სხვადასხვა შეგნება ერთი მეორეს უპირდაპირება, საქმესა სწყვეტავს მხოლოთ ძალა. ექვს გარეშეა, რომ შეუგნებლათ არავითარი ცვლილება არ შემოდის ცხოვრებაში, რაც უნდა ღია იყოს კარები ამგვარი ცვლილებისათვის, მაგრამ ყოველ ახალ შეგნებას მხოლოთ მაშინ შემოაქვს ცხოვრებაში ცვლილება, როდესაც ის ბრძოლას იწვევს. მორი კი ბრძოლის შესახებ არასფერს არ ლაპარაკობს; მას იმედი არა აქვს, რომ შეგნება შეათანხმებს ყველა წოდებას და ისინი მშვიდობიანის გზით განახორციელებენ სამართლიან წყობილებას. ცხოვრებამ მალე დაამტკიცა, რომ მორის იმედები უსაფუძვლო იყო. მორის სიკვდილის შემდეგ ხალხის ცხოვრებამ მართლა წადგა წინ ფეხი ინგლისში. მრეწველობა სწრაფათ იზდებოდა და ხალხი ლუკმა პურს შოულობდა. მეფესთან და მთავრობასთან ბრძოლას ის შედეგი მოყვა იქ, რომ მეჩვიდმეტე საუკუნეში შემოდეს ნამდვილი კონსტიტუცია და მეფერამეტეში სრული საპარლამენტო წყობილება დამყარდა, რის გამო ხალხმა ცოტა თავისუფლათ ამოისუნთქა. ევროპის სხვა სახელმწიფოებში კი ძველებურათ მეფობენ თვითმპყრობელობა და ბიუროკრატია მათი განუსაზღვრელი თვითნებობით, ძალმომრეობით და

ყოველგვარი კანონების გადალახვით. ხალხი ყოველგვარ უფლებას მოკლებული იყო და იმას მხოლოდ ერთგულათ თლიდენ სხვადასხვა გადასახადებით მეფე, ბიუროკრატია, თავად-აზნაურობა და სამღვდლოება. ერთის მხრით იყო აღვირ წახსნილი გარყენილება და ფუფუნება, მეორეს მხრით სრული სილატაკე. მეფეების სასახლეში მუდამ ქეიფი იყო და ყოველი ბიუროკრატი ამ ქეიფის დროს აწყობდა თავის პირად საქმეებს. ამგვარ პირობებში დიდ როლს თამაშობდენ ქალები; ხშირათ ის ქალი, რომელიც მეფეს მოეწონებოდა, როგორც უნდოდა, ისე ატრიალებდა სახელმწიფოს საქმეებს. ამიტომ ზოგჯერ ხალხის მართვლები მეფის საყვარლები იყვენ ხოლმე. მეთვრამეტე საუკუნეში, როცა საფრანგეთში ლიუდოვიკო მე-XII მეფობდა, საფრანგეთს მართავდენ მეფის საყვარლები; პომპადური და დიუბარრი, როგორც უნდოდთ, ისე ყველფავდენ ხალხს, აცალიერებდენ ხაზინას და ატრიალებდენ საფრანგეთის საქმეებს. ამგვარ პირობებში საზოგადოების საუკეთესო წევრნი ბევრსა ფიქრობდენ იმის შესახებ, თუ როგორ და რა გზით გამოეყვანათ ხალხი ბედნიერების გზაზე. მორს ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა. გაჩაღდა გონებრივი მუშაობა; სწავლულებისა და საზოგადო მოღვაწეების მთელი კრებული შეუდგა ხარბათ საზოგადო კითხვების რკვევა-ძიებას.

ივ. ზომართელი.



ც ი ს კ ა რ ი

ი.—ს.

„ცოდვა გამოტეხილი ჯობია“-ო, ამბობს ქართ. ანდაზა:—ვის არ მოეხსენება, რომ ქალების უმეტესობა ცნობის მოყვარენი არიან. მეც უხვათ დამაჯილდოვა ამ მხრით ბუნებამ. მიყვარს სხვისი წერილების კითხვა, უდიდეს სიამოვნებას ვგრძნობ, როცა ვკითხულობ, თუმცა ხან ბედიც მიწყევლია. მერე ეს ხომ უპატიოსნობა არის, სხვის სულსა და გულში ჩაძვრენაო,—იტყვის გაკვირვებული მკითხველი. მართალია, გეთანხმებით, უპატიოსნობაზე მეტია, მაგრამ რას ვიზამთ! განა ცოტანი არიან ისეთები, რომლებიც არა თუ ძვრებიან სხვის სულსა და გულში, არამედ ფეხებითაც კი თელავენ?! მეც შვილი ვარ დღევანდელი გათახსირებული საზოგადოების, ასული ცოდვილი ევასი.


შემთხვევით ჩამივარდა ხელში რამოდენიმე წერილი. მინდა შენც გაგიზიარო, მკითხველო, ზოგი მათგანი. აი პირველი:

..... როგორ ცხოვრობ?

იპ. კოთილო მეგობარო! კითხვა აღვილია, მხო-

ლოთ პასუხი კი მთელი ჯოჯოხეთი. მე კი არ ვცხოვრობ, ვიტანჯები, და ჩემთან ერთად სიტანჯებას ორი უცოდველი არსება, რომელთაც მე ჩავუდგი სული და გავჩინე მისთვის, რომ შემდეგ დაუსრულებელი იქნეს მათი წამება. შეგიძლია წარმოიდგინო ასეთი სინიდისის მხილება!

გახსოვს, როგორ მიხაროდა ოთხი წლის წინათ და ვოხუნჯობდი კიდევ, დიდ ფასში გავყიდე ჩემი სტუდენტის ფორმათქო. ექვსი ათასი მანეთი და ის ჯოჯო, რომელიც მე ვიყიდე, უკეთ რომ ვთქვათ, რომელმაც მე მიყიდა, მეგონა ბედნიერებას მომიტანდა, მაგრამ წინააღმდეგში დაგრწმუნდი. ჯვარის დაწერის შემდეგ მე და ჩემი ცოლი ვცხოვრობთ ისე, როგორც კატა და ძაღლი, არც სიყვარული, არც მეგობრობა, აღარც პატივისცემა ერთი მეორესი, ჩვენ შორის უშველებელი სიმყრალის ორმო გაჩაღდა, რომელზედაც ხიდათ გადებულია საცოდავი ჩემი ორი შვილი და წყეული ექვსი ათასი მანეთი. ჩვენ მხოლოდ ეს გვეერთებს, ესევე გვწამლავს. მუდამ დღე ვჩხუბობთ, ყოველი წამი ჩვენი ერთათ ყოფნისა მოშხამულია. მე აღარ ძალმიძს ავიტანო ის საყვედური, დამადლება, რომელიც მისგან მესმის ყოველ წამს, რომ მე მისი ფულით ვცხოვრობ, რომ ის ფულისთვის წამოვიყვანე, რომ მე უსინდისო, უმადური, გარყენილი კაცი ვარ და ის არ მიყვარს, მეტის მოთმენა აღარ შემიძლია, გამოვარდები გარეთ და დიდხანს დაგხეტიალობ უაზროთ. როდესაც მოსკოვის შეუბრალებელი ყინვა ჩემ გახურებულ შუბლს გააგრილებს, გონებას მოვიკრებ, გავითვალისწინებ ჩემ ცხოვრებას, საშინელი სიძულვილი და სიბრაღული მიპყრობს, მე მძულს ცოლი, უდანაშაულო შვილები, ჩემი თავი, სამყარო, მთელი ქვეყანა, მთელი გათახსირებული კაცობრიობა, რომლის ნაყოფი მე და ჩემი მოწამლული ცხოვრება ვართ. მინდა ვიტერო, ვიყვირო, ვიცინო, შევანძრო ქვეყნიერება, მაგრამ მე ვიკარგები და გამოვფხიზლდები ხოლმე რომელიმე ერთერთ „რესტორანში“; ბინაზე მხოლოდ მეორე დღეს მივალ, სადაც იგივე ისტორია გამეორდება. მეზიზღება ჩემი თავი, მაგრამ ათი-ათას ჯერ უფრო მეტათ მეზარებიან ის უნამუსო დედა-კაცები, რომლებიც სტუდენტის ფორმას და მხოლოდ ქმრის სახელს ყიდულობდენ. საკვირველია, რას ფიქრობენ ის საბრალო ქალები! ნუ თუ არ იციან, რომ ჩვენ ისინი ფულისთვის მიგყავს, ყოველთვის შეგიძლია მათი გადასროლა, როგორც უვარგისი ცხვირსახოცის, რომელსაც საჭიროების დროზე ვიხმართ და შემდეგ შორს გადავისვრით! ოხ, ქალებო! სად არის თქვენი ადამიანური შეგნება, თავ-მოყვარეობა, მო-



ვალეობა დედის, აღმზღელის, ცოლის, სად არის თქვენი გრძნობა-გონება?! რათ ავდებთ კარტში წა-საგებ-მოსაგებათ თქვენ მომავალ ცხოვრებას, მთელ შთამომავლობას?! რა უნდა იქნეს ჩემი შვილები და ბევრი ჩემისთანების, რომელნიც მუდამ ჩხუბის მეტს ვერაფერს ხედავენ?! სადღა არის მაღალი სწავლის სურვილი, რომლის გულისათვის მე ამ ცეცხლში ჩავიგდე თავი? უნივერსიტეტში მხოლოდ ჩაწერი-ლი ვარ, სადაც თვეში ერთხელ თუ მივალ, ისიც კარგია. ოთხი წლის განმავლობაში მხოლოდ წელს გადავედი მეორე კურსზე, ისიც დიდი წვადებით; სადღა კითხვა, კრებები, მოძრაობა, ჩემთვის ყვე-ლაფერი მოისპო და არც კი მახსოვს, თუ ოდესმე ვღებულობდი მონაწილეობას. განა ეს ცხოვრებაა?! აი ძმაო, ჩემი ოთხი წლის ისტორია, რომელიც საუკუნეა ჩემთვის, ისწავლე კეკუა, შეხედე ჩემ ცხოვ-რებას და არ გაგიწყრეს ღმერთი, ასეთი საშვალე-ბით არ იფიქრო სწავლა განაგრძო. შეიძლება რო-გორმე სტიპენდია იმოგო, მაგრამ რას ვამბობ! გა-ნა არ ვიცნობ ჩვენს საზოგადოებას! მე კი არ მიე-მართე მას, მაგრამ რა გამოვიდა?! არაფერი. პრო-ტექტორები მე არ მყავდნენ, ისე კი ყოველგან კა-რებს მიხურავდნენ. მახსოვს, როგორ დავრბოდით მე და ჩემი ამხანაგი, ყველგან თხოვნებს ვაძლევდით, უარით გვისტუმრებდნენ. ოხ! რა თავის დამცირებაა, რამდენ ზნეობრივ ტანჯვას განვიცდიდით, როდესაც იმედ გაცრუებულს უკან გამოგვისტუმრებდნენ. ერთ-ხელ ველარ მოითმინა ჩემმა ამხანაგმა და კითხა: „კეთილ ინებეთ, ამისხენით მაინც, რა მიზეზისთვის არ მაძლევთ სტიპენდიას?“—თქვე დალოცვილო, ვისაც თქვენისთანა ძმა ყავს, რომელსაც ოთხი ათა-სი მანეთი წლიური შემოსავალი აქვს, როგორ უნ-და მიცეთ სტიპენდია, ქვეყანა ყბათ არ ავვიღებ?! როგორ მოგწონს? მის ძმას, შეიძლება, მეტიც ქონ-დეს, მაგრამ ჩემი საწყალი ამხანაგი რა შუაშია, როცა პეტერბურგში შიმშილით კვდება და დღე-დღეზე დაითხოვენ უნივერსიტეტიდან მისთვის, რომ სწავლის ფული შარშანდელიც არ შეუტანია!

ძმა! განა ყოველ ძმას ესმის ზნეობრივი მოვა-ლეობა ოვისი ძმისადმი?! ეს რო ასე იყოს, მაშინ ჩვენისთანების ბედს ძალიც არ დაყუფდა და აღარც ჩვენ საზოგადოებას დაავიწყდებოდა თავისი პირ-დაპირი მოვალეობა. ძმას მდიდარმა ცხოვრებამ, სა-ზოგადოებაში გამოჩენის სურვილმა, ლამაზმა ცოლ-მა და ბევრმა სხვამ დაავიწყა, რომ რამოდენიმე წლის წინათ ისიც სტუდენტი იყო და უჭირდა; ახ-ლა ის განცხრომით ცხოვრობს, სხვა კი, თუ-გინდ ძმასაც, კისერი უტეხია. რას იზამ?!— „წარმოიდგინე, როგორ ყოველგან წინ მიდ

ვას ეს ჩემი ძმაო“,—მოთხრა ნალვლიანად, ნაგმა, მაგრამ მალე დაუმატა: „ბევრათ მიჩვენია შიმშილით და პატიოსნათ მოვკვდე, ვიღრე მივილო ასეთი საზოგადოებიდან და ისეთი ძმიდან ტირილით გადმონასროლი ლუკმაო“ და ისევ შეუდგა თავისე-ბურ ოხუნჯობა. აი აღამიანი, რომელსაც ვერას-ოდეს გაჭირვება ვერ იმონებს

ერთი ხალხური ანდაზა მაგონდება, როდესაც გავისხენებ ჩვენი თავად-აზნაურების სტიპენდიას.— „მოიცა ვირო, გაზაფხულზე იონჯას გაქმევო“,— მათ „რიგიანათ“ შეასრულეს თავიანთი წმინდა მო-ვალეობა, დაწერეს ენუქას ანდერძი, გაანაწილეს „ნაბოძები“ ოცი ათასი, ზოგს მისცეს, ისევ წაარ-თვეს, ზოგს არც კი უფიქრა ამ წელში სწავლა, ისე მისცეს, გაისტუმრეს მოსწავლე ახალგაზღობა ცივ ქვეყნებისკენ დიდი იმედებით, ისწავლეთ სტი-პენდია გექნებათ იანვარშიო“, იანვარ... იანვა-რი... კარგია ეს იანვარი, 1908 წელი, მაგრამ კუ-ჭი რომ არ იცდის იანვრამდი! დღეს მოვიდა ერთი ამხანაგი ჩემთან, რომელიც იანვრის იმედით ცხოვ-რებს, ამოიღო უბიდან უშველებელი დავთარი და მოყვა ანგარშ: ექვსი მან. პური, სამი მან. შაქა-რი, მანეთი ნავთი, 2—მრეცხელს (აბანომ შენი ჭი-რი წაიღოს), 20 მ. ოთახის ქირა. დღეს პური აღარ მქონია, აღარ მომცეს, აწი არ ვიცი, როგორ ვი-ცხოვრო იანვრამდი. თუ როგორმე მანამდი გავთ-რიე სული და დიასახლისმა ოთახიდან არ გამომაგ-ლო მაინც, იანვარში ბედნიერი კაცი ვიქნები: ყვე-ლა ვალებს გავისტუმრებ და პურიც მექნებაო,— დაუმატა ამოოხვრით. მე ექვით გამეცინა: „იმედი-ანი შიმშილიც კარგია, მაგრამ იანვარში კი მიი-ღებ-მეთქი“—უნებლიეთ წამომცდა. ერთი შემომხე-და და ნალვლიანათ ჩაფიქრდა. მეც დაფიქრდი, ისევ გამახსენდა ჩემი შეჩვენებული ცხოვრება, რო-მელიც აჩრდილივით თან დამდევს და არ მასვენებს.

ეს, იქნება თავიც მოგაბეზრე ამდენი წერით. ნახვამდი. განახავ კი?

მარად შენი მ.—ა.
გამარჯობა ვ.—ს!

რადგან შემთხვევით ამ წერილის დაწერის მოწ-მე გავხდი, მეც მივუმატებ ორიოდ სიტყვით ჩემ ისტორიას, მაგრამ არ შეშინდე ამდენ წუწუნს არ მოვყვები. გამიწყრა ღმერთი, ექვსი წლის წინათ მეც ფულისთვის დავიწერე ჯვარი ჩემ ცოლზე, იმ-დენი სიცოცხლე გაქვს, რამდენი ჩვენ ერთმანეთს ვცემეთ ამ ექვსი წლის განმავლობაში. ხომ გახსოვს ჩემი კარგი თმა სემინარიაში, თავი რომ მომქონდა მითი? როგორც ჩემ ხელის გულზე ვერ ნახავ ერთ ღერ თმას, ისე ველარც ჩემ თავზე, სანთლითაც



რომ ეძიო; სრულიად გამცალა მარა, გაქ სიცოცხლე, აღარც იმისთვის გამოიტყვევია ბევრი. ჩემი ლამაზი ბავშვი ბებიასთან მყავს ქ. მე აქ ვარ, (ხშირათ გადაკვრასაც მივეჩვიე), და ჩემი ცოლი ალახმა უწყის სად იყოფება. მაისში მგონია გავთავებ, მაგრამ კვი მოვცეს ღმერთმა, კარგი ექიმი მე ვიქნე. ამ წუწუნისასაც ვეუბნები: დაშორდით ერთმანეთს, მაგრამ ეს რალაც სინიდისზე და ზნეობაზე გამიბამს მუსაიდს. აი სად ეძებს და რაში ხედავს ეს ზნეობა-სინიდის. სად ვიყავით მაშინ, როდესაც ჯვარს ვიწერდით! შენ რას იტყვი, ა? — შენი დ.

ცაცუ—ემანუელი.

31 ოკტომბერი. პეტერბურგი.



ჩვენი ქალაქის თვითმართველობა. *)

ქალაქის ერთ უმთავრეს საზრუნავ საგანს უნდა შეადგენდეს განათლების საქმე. პირველ დაწყებით სკოლებში სწავლა უნდა იყოს უფასო, რადგანაც ქალაქის სკოლებში უმეტეს ნაწილათ სწავლობენ შეუძლო მცხოვრებლების შვილები. სათავეში ამ სკოლებს უნდა ჰყავდეს მცოდნე და ენერგიით სავსე პირები. რასაკვირველია, ამ პირების უკეთილშობილესი შრომა ქალაქმა უნდა ღირსეულათ დააფასოს. მაგრამ ნამდვილათ კი რას ვხედავთ? მასწავლებლების უმეტეს ნაწილს ეძლევა წლიურათ 300 მან., ე. ი. იმ ჯამაგის ნახევარზე ცოტათი ნაკლები, რომელიც ეძლევა უბრალო მოსამსახურეს ქიათურის მრეწველთა საბჭოში. როდესაც მასწავლებლებმა ქალაქის საბჭოს წარუდგინეს მკორე მოთხოვნები ჯამაგირის მომატების და მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, მთელი აურზაური ატყდა. ხმოსანმა დარახველიძემ ამ კითხვაზე ლაპარაკი კი მეტათ მიიჩნია: ქალაქს სახსარი არ აქვს, კასსა ცარიელია, და მაგ მოთხოვნების განხილვით ტყვილა თავს ნურავინ აიტყვივებსო. მერე ძლიერ გასაჭირი იყო ქალაქისთვის ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება? მასწავლებლები თხოულობდნენ, რომ პირველ წელიწადს მიეცათ მათთვის 600 მანეთი, შემდეგ ყოველ ხუთი წლის სამსახურისთვის მიემატებიათ ცოტ-ცოტა, რამდენიმე წლის სამსახურს შემდეგ კი დანიშნულათ პენსია, წამლები ეძლიათ მათთვის ქალაქის აფთიაქიდან იმ ფასებში, რამდენიც ეს თვით აფთიაქა უღირს და რომ მათ შვილებს სხვადასხვა სასწავლებლებში სწავლის ქირა არ გადაეხადათ. აი მთელი მოთხოვნები. ქალაქის საბჭომაც გადასწყვიტა დაეკმაყოფილებია უმეტესი ნაწილი ამ მოთხოვნებისა, რომლებიც იწვევდნენ ახლან-

დელ ხარჯთან შედარებით 1500 მანეთით მეტ ხარჯს. როგორ თუ ჩემი არ დაიჯერა საბჭომო, განრისხდა ხმ. დარახველიძე და წერილობითი პროტესტი მიაყოლა საბჭოს გადაწყვეტილებას. ბ. დარახველიძე ამ პროტესტშიანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, დაბეზღებაში ატარებს იმ აზრს, რომ მასწავლებლების მოთხოვნების დაკმაყოფილება ლიბერალ ხმოსნების ბრალია და არამც და არამც მთავრობის ინსტანცია ამ გადაწყვეტილება არ უნდა დაეთანხმოსო. საბჭოს შემდეგ სხდომაზე ბ. დარახველიძის ამ საქციელს მე საჯაროთ უზნეობა ვუწოდებ. ბ. დარახველიძეს გამოეგარჩლა ცნობილი „საზოგადო მოღვაწე“ ხმოსანი კვირკელია, თუმცა ის იმ სხდომას არ დასწრებია, რომელზედაც მე დარახველიძის საქციელი გავკიცხე. გაზ. „Закан.“—ში მე შესაფერი ფასი დავდევი. ბბ. კვირკელიას, დარახველიძის და მათი დაშქაშების უმართებულო ქცევას, მაგრამ შერცხვებათ? ჯერ ასეთ შზრუნველობას იჩენენ ჩვენი ქალაქის მამები ქალაქის სკოლების შესახებ და შემდეგ რა იქნება, ეს ალახმა უწყის.

მცხოვრებლებში სანათლის შესატანათ საქიროა აგრეთვე საკვირაო სკოლები. ვინც საქმე დღეებში მხოლოთ ლუკმა პურის შოვნისთვის ზრუნავს და შეძლება არა აქვს სკოლაში იაროს და თავისი სულიერი მოთხოვნები დაიკმაყოფილოს, იმათ ის შეძლება მაინც უნდა მიეცეს რომ საკვირაო სკოლებში შეისწავლონ წერა-კითხვა, ციფრი და შეიძინონ სხვადასხვა სასარგებლო ცოდნა ქალაქის თვითმართველობა ვალდებულთა ზრუნავდეს ამ სკოლების რაციონალურათ დაყენებისათვის. ჩვენცა გვაქვს ერთი საკვირაო სკოლა, სადაც ჩვენი შეგნებული ქალები და ვაჟები უსასყიდლოთ ასწავლიან. მათი ასეთი უანგარო შრომა მით უფრო დასაფასებელია, რომ ოფიციალურათ მათ არავინ მადლობას არ უძღვნის. მაგრამ წმინდა საქმის სამსახური, ის აზრი, რომ ისინი პირნათლათ ასრულებენ თავის მოვალეობას კაცობრიობის საუკეთესო იდეალების განსახორციელებლათ, უნდა აყოს მათთვის უდიდესი ზნეობრივათ დამაკმაყოფილებელი ჯილდო.

ხალხში შეგნების შეტანას ხელს უწყობენ ეგრეთვე სახალხო უნივერსიტეტები, სადაც ამა თუ იმ საგნის ზედმიწევნით მცოდნე პირები უმარტავენ მსმენელებს ამა თუ იმ საინტერესო კითხვას. სახალხო უნივერსიტეტები ძლიერ ხშირია დასავლეთ კულტურულ ქვეყნებში. ახლა რუსეთის უმთავრეს ქალაქებშიც დაარსდა ამნაირი კურსები ჩვენმა დედა-ქალაქმა თფილისმაც რამოდენიმეთ მოაწყო ეს საქმე. ქუთაისშიაც რამდენიმე პირმა

*) იხ. „ცისკარი“ № 9.



ითხოვა ამნაირი კურსების დარსების ნებართვა, მაგრამ ადგილობრივმა მთავრობამ მათი წესდება არ დაამტკიცა, თუმცა ეს წესდება სიტყვა-სიტყვით, გადმოწერილი იყო თბილისის სახალხო უნივერსიტეტების საზოგადოების წესდებიდან.

ხალხის განათლების საქმეს ემსახურებიან აგრეთვე წიგნთ-საცავები (ბიბლიოთეკები) და სამკითხველოები. განსაკუთრებითი ყურადღება უნდა მიექცეს სამკითხველოების მოწყობას. სამკითხველოებში მცხოვრებლები უფრო ჟურნალ-გაზეთებით სარგებლობენ და ამნაირათ ეცნობიან დღევანდელი ცხოვრების მაჯის ცემას. ამიტომ ქალაქის ყოველ ნაწილში უნდა იყოს გამართული ამნაირი სამკითხველოები, რომ ყოველ მოქალაქეს უხერხედობდეს რამდენიმე წუთის თავისუფლებითაც ისარგებლოს ჟურნალ-გაზეთების წასაკითხათ. ქუთაისში გვაქვს ქალაქის წიგნთ-საცავი და სამკითხველო, რომლებსაც ქალაქი ყოველ-წლიურათ აძლევს 2822 მანეთს. აქედან 800 მანეთი ახალი წიგნების შესაძენადაა ნანაგარიშები, მაგრამ რამდენად მდიდარია ჩვენი ბიბლიოთეკა წიგნებით, ამ კითხვაზე ძნელია პასუხის მიცემა. უნდა აღვნიშნათ, რომ ჩვენში, სამწუხაროთ, ყოველ საქმეს თითქმის უკანტროლოთ აწარმოებენ, თითქო კანტროლი სასიცხვო იყოს. მეორე გვაქვს გაბრიელის სახელობაზე მოწყობილი წიგნთ-საცავი და სამკითხველო, მაგრამ უსახსრობის გამო ის ძლივ-ძლივობით დაფასესულს. დიდი მადლობის ღირსია ამ წიგნთ-საცავის მოქირისუფლე ქ-ნი ელენე ჯინოვისა, რომელიც მალე საკუთარ შენობის აგებას გვპირდება ფრანგების მოედანზე. გაბრიელის სახელობაზე ბიბლიოთეკით სარგებლობს უმეტეს ნაწილათ მდაბიო ხალხი, მაგრამ ეს სამკითხველო ყველას მიმართ ვერ გაწვდება. ამიტომ სასურველია, რომ ქალაქმა გამარავლოს სამკითხველოების რიცხვი.

შეუძლებელია ორნაირი აზრი იქონიოს კაცმა იმის შესახებ, რომ აღამიანი უნდა იკმაყოფილებდეს ყოველგვარ სულიერ მოთხოვნილებას, მათ შორის, ესტეტიურსაც. უპირველესი ადგილი, სადაც ჩვენ შეგვიძლია ესტეტიური მოთხოვნილება დავიკმაყოფილოთ, არის თეატრი. ამიტომაც ქალაქის გამგეობა დიდ ყურადღებას უნდა აქცევდეს თეატრს და მის რიგინათ დაყენებას. ჩვენი თეატრი უფრო თავლასა გავს, ვიდრე თეატრს; მას არა აქვს არც ფოიები, არც ბუფეტი, არც ზალა; ერთი სიტყვით, ადგილი არ ირის, რომ ანტრაქტების დროს საზოგადოება გამოვიდეს და სუფთა ჰაერით ისარგებლოს. ქუჩაში ამდენი ხალხის გამოსვლა მოუხერ-

ხებელია, ზამთარში და საზოგადოთ სიცივეების დროს საფრთხილოცაა, რადგან ადგილათ შეიძლება გაცივდეს კაცი და რამდენიმე წუთის სიამოვნებას მთელი სიცოცხლე შესწიროს. ისე კი გასანძრევი ადგილი არ არის. კარიდორში იმისთანა სივიწროვეა ანტრაქტების დროს, თან იმისთანა კომლი და ბული დგება პაპირობების წვეისაგან, რომ უმჯობესია კაცი ისევ თეატრის დარბაზში თავის ადგილზე დარჩეს. ასე რომ წარმოდგენის დაწყებდან გათავებამდე უნდა დაეკერო ერთ ადგილზე. კარგი თუ საზოგადოება ცოტაა თეატრში; მაშინ შეიძლება გაძლო როგორმე, მაგრამ თუ ყველა ადგილები დაქვრილია, უმჯობესია სულ დასტოვოთ თეატრის დარბაზი ბევრი ასეც იქცევა. ამას ისიც დაუმატეთ, რომ ჩვენ თეატრში სრული უწყესრიგობაა გამეფებული. ხშირათ მიხვალთ, მაგრამ თქვენი ადგილი უკვე დაქვრილია. თუ წარმოდგენა დაწყებულია და შენ კი ამ დროს ადგილისთვის ლაპარაკი ან ჩხუბი გამართე, ხომ მთელ ხალხს უშლი. ხშირათ, თუნდ პირველ რიგის სკანზეც იჯდე, რომელიმე ვაჟბატონი მოვა და წინ ჩამოგიდგება. თუ შენიშნე რამე, შეიძლება იმისთანა უსიამოვნებას გადაეკიდო, რომ ბოლოს შეიძლება ბევრიც ინანო. ვისი ბრალია ეს ყველაფერი? რასაკვირველია იმათი, ვისაც მინდობილი აქვს თეატრის საქმეები. ეს ვაჟბატონები ოლონდ თვითონ იყვენ ლოჟებში მოსვენებით და სხვას არაფერს დაგიდევენ, თითქოს ეს უწყესრიგობა მათ სრულიათაც არ ეხებოდეს. ამას ისიც დაუმატეთ, რომ თეატრი ეს ორმოციათსამნეთიანი ქონება, ხარჯებს ძლივს ფარავს, არათუ მნიშვნელოვან შემოსავალს არ აძლევს ქალაქს.

ვრ. ნასარიძე.

(შემდეგი იქნება).

ამხანაგობა „კოლხიდა“-ს საქმიანის გამო.

(წერილი რედაქციის მიმართ).

„ცისკრის“ მე-10-ში ბ. მათუსალას დამკვირვ ყურადღება სამეურნეო ამხ. „კოლხიდა“-საც მიწვდა და იგიც სხვა ჩვენებურ ამხანაგობებსავით „უბედურ ვარსკვლავზე დაბადებულათ“ აღიარა და გულის გასაკეთებლათ, ამ უკანასკნელს ასეთ რეკამენდანციას უწევს და პატეტიურათ დასკვნის: „ჯერჯერობით გაძაღლებული სული შერჩენია კიდევ ქუთათურ ამხ. „კოლხიდა“-სო და ასე თუ ისე მიაღოლიალებს თავის დუხჭირ არსებობას და ან კი რა უნდა ქმნას ამხ. ისეთი ქირისუფლების

ბა და ისეც ჩვენებურ ვაჭრობაში, უკულოტურა საქმეში, ეს ვაჭრული იდეალი არც მაგრე აღვი-
 ლათ გასათვალისწინებელია, როგორც ამხანაგობის
 ზოგიერთ ზერელეთ საქმის მკოდნე წევრებს წარ-
 მოუდგენია. იმათ რაღაც თითო თუმანი გამოუღი-
 ათ, 2000 მან. შეგროვილა და ასეთი მცირე თან-
 ხით გამგეობას, (რომელიც აგერ 6 წელიწადია უსას-
 ყიდლოთ მუშაობს) ავალებენ 50-დან 90 და ასიათა-
 სი მან. აპერაციები გააკეთეთ და ყოველთვის მო-
 გება გვაჩვენეთ და დივიდენდები ბლომათ დაგვი-
 რიგეთო. მადა, ყველა დაგემოწმებათ, კარგია, მაგ-
 რამ იმ გარემოებებში, რომელშიაც, ეს 6 წელიწა-
 დია, „კოლხიდა“ მოქმედებს, იმისიც მაღლიერი
 უნდა იყვნენ მისი წევრები, რაც მას უმოქმედია,
 შეუძენია, მოუწყვია და ახლა მის განვითარების,
 გაფართოების გზას ადგია, ხოლო რაც მან, „კოლ-
 ხიდამ“, ამ 6 წლის განმავლობაში შეიძინა, მოაწყო
 და რაც შეეფერება სამეურნეო-სამრეწველო ამხანა-
 გობის მიზანს მისი განხორციელების გზას ადგია,—
 ამაზე ჩვენს პრესაშიც ბევრი თქმულა. დამალულათ
 არც ერთი სერიოზული საკითხი და პრაქტიკული
 საქმე „კოლხიდა“-ს გამგეობას არ ჩაუტარებია თა-
 ვის მოქმედებაში. მე, როგორც გამგეობის წევრს,
 არ მახსოვს „მიჩქმალულათ“ გამგეობის მიერ საქ-
 მის კეთების მიდრეკილება და როცა ასეთს დავი-
 ნახავ, გარწმუნებ ბ. მათუსალავ, პირველი დავგ-
 გობს სახალხო საქმეში ამგვართა ტაქტიკას. საკ-
 მარისია, რაც ჩვენებურ დაწესებულებებში ზნე-ჩვე-
 ულებათა შამოდებული და ძალმომრეობით დაკანონ-
 ნებული, რომ მათ კიდე ეს ნორჩი ამხანაგობა
 „კოლხიდა“-ც არ აუბანიოთ, და საზოგადო საქმიან-
 ნობაში თანამოაზრეთ არ გაუხადოთ. პირიქით სა-
 კიროა ამ ამხანაგობის წევრებათ სოფლის მეურნე-
 გლებკაცობა და ზნეობით ფაქიზი აღამიანები ჩაე-
 წერონ, რათა მათ დღევანდელ პირობებში ხელი
 შეუწყონ სოფლელებს თავიანთ ნივთიერ მდგომარე-
 ბის გაუმჯობესებაში; ხოლო რაც შეეხება იმას,
 თუ რას და ვის ემსახურება ხსენებული ამხანაგობა,
 რა ღირსება და ნაკლი აქვს მას, როგორ უნდა
 მოეწყოს მისი აპერაციების პრაქტიკული სსქმეები,
 მეურნეობის რაგვარი ცოდნა, დარგი უნდა გაავრ-
 ცელოს მან და სხ. მაგვარი საკითხები, —ამათ გა-
 სარკვევათ წრევანდელი კრება მით განიჩრევა წარ-
 სული კრებებისაგან, რომ წელს საერთო ხდით გა-
 დაწყდა გამოიცეს ვგრეთ წოდებული „კოლ-
 ხიდის ფურცელი“, სადაც ამ გვარ საკითხების
 გარკვევას ექნება ადგილი. თუ კი ზემომოყვან-
 ილ გაგმეობას ხელმოკლეობა არ გადაეღობა
 წინ და დადგენილება განხორციელდა, იქ უფრო
 დაწვრილებით გვექნება ლაბარაკი „კოლხიდა“-ს
 საქმეების გამო და მაშინ უფრო დარწმუნდებით,
 რომ „კოლხიდა“-ს გამგეობა თავისს მოქმედებაში
 არავითარ „მიჩქმალვის“ გზას არ ადგია. იგი სიბნე-
 ლით არ არის მოცული და პრესის საშეაღლებით
 ყველას ატყობინებს რას აკეთებს. დაფარული აქ

არა არის რა და ვისაც რა სურს, ყოველგვარად
 ძლია გაიცნოს.

დასასრულ ორიოდე სიტყვა თქვენ აჩქარებულ
 „დარიგების“ შეახებეც. თქვენ ბ. მათუსალა „და-
 რიგებაში“ უსაყვედურებთ გამგეობას, რომ ქარიან
 დღეებში, ყიდვია დრო დალალებს ბამბის სასყიდ-
 ლათ ფულებს ურიგებენ, ხოლო ადრიან, წვიმიან
 დღეებში კი ბამბას იწონიანო და მის წონაში
 ტყუილდებიანო. ამაზე ჯერ ის ფაქტიური მენიშენა
 უნდა მოგკეთ. რომ ჩვენ ამ უკანასკნელ წლებში
 დალალებს ბამბის საყიდლოთ ფულებს არ ვურიგებთ,
 რადგან წინა წლების მწარე გამოცდილებამ დაგვან-
 ხა, რომ ბამბის აპერაციამ რა ზარალი მოგვცა:
 ბევრმა აგენტებმა ფულები შეგვიქამა, რაც მართა-
 ლი უნდა ვთქვა, ლოდივით აწევს ამხ. საქმეებს.
 ხოლო რაც შეეხება იმას, რომ ამხანაგობა დღეს
 ჩარჩების, დალალების ხელშია, —ეს მართალია. ჩვენ
 ხალხს ჯერაც ვერ შეუგნია ის უბრალო საქმიანო-
 ბა და პირდაპირი თვისი ინტერესი, რომ მას შეუძ-
 ლია თავის ნაწარმოები ქალაქის ბაზარზე მოიტანოს
 და აქ უშუამავლოთ მიყიდოს ამხანაგობას, თუ
 კერძო ვაჭარს. მაშინ მათ ერგებათ ის სა-
 კომისიო ფულიც, რაც ჩარჩებს მიაქვს საშუამავ-
 ლოთ და წონა-ანვარისშიაც არ მოტყუილდებიან.
 ამხრით ეს დარგი ჩვენებური მეურნეობისა ყველაზე
 ცუდ პირობებშია დღეს ჩავარდნილი ჩვენი უკულო-
 ტურობით და სხვა საერთო პირობების გამო. ბუ-
 ნებით საუკეთესო, ნაზი თვისების იმერული ბამბა
 ისე მუშავდება, იწმინდება, ინახება და შემდეგ
 ისე მოუვლელოთ, ბინძურათ იყიდება, რომ მან
 ლამის არის მოსკოვის ბაზარზე სულ გაი-
 ფუქოს სახელი. ბრალი კი ამაში მიუძღვისთ
 უმთავრესათ ჩარჩებს, ხელზე წვრილ მოვაჭ-
 რებს, რომელნიც მსხვილი ვაჭრების წყალობით
 მოდებულნი არიან იმერეთის სოფლებში, დაიარებიან
 სასწორ გირებით, საწვრილმანოებით და ყიდულობენ
 გლებებიდან მეურნეობის ამ ნაწარმოებს, ატყუე-
 ბენ რა მათ როგორც წონაში, ისე ანვარისში,
 მოაქვთ იგი არეულ დარეულა, ხშირათ წყალ დას-
 ხმული, ქვებ და მაწა შერეული ქუთათურ მექარხ-
 ნებთან და ესენიც იძულებულნი არიან იყიდონ
 ამნაირათ გაოხრებული ნედლი საქონელი. ამგვა-
 რათ მოგროვილ საქონელს აღარც ხარისხებათ და-
 ყოფა უხერხდება და აი ამით უფუქდება აქაურ
 ბამბას სახელი. აი ამგვარი საზოგადო პირობათა
 შექნილი დღეს აქაურ მეურნეობაში და თუმცა
 „კოლხიდა“-ს მიზანი ისაა, რომ პირველი ხელიდან,
 თვით სოფლის მეურნეებისგან შეიძინოს მათი ნედ-
 ლი, გადუმუშავებელი საქონელი, მაგრამ დღე-
 დღეობით ეს ძალიან ძნელია. მოშავალში კი ვნა-
 ხოთ...

„კოლხიდა“-ს გამგეობის წევრი ისიდორე კვიციარიე.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. კოხრავიძე.